*დანართი №2*

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

"ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

**შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი

2024 წლის 2, 3, 4 ოქტომბერი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

2025 წლის 14 თებერვალი

თბილისი

2024-2025

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 206169304 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ / ორგანიზაცია/ქვეყანა) | კარსტენ ლორენცი, მაინცის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, გერმანია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნინო ზარნაძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მედეა ჯანჯღავა, მომავლის ლაბორატორია, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | სოფიო უგრეხელიძე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | სოფიკო გვრიტიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 |
|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ბიზნესის ადმინისტრირება | ბიზნესის ადმინისტრირება | ბიზნესის ადმინისტრირება | ბიზნესის ადმინისტრირება (აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა) | ბიზნესის ადმინისტრირება (აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა) |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა | მაგისტრატურა | მაგისტრატურა | მაგისტრატურა | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი | ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მმართველობა და ადმინისტრირება 0413 | მმართველობა და ადმინისტრირება 0413 | მმართველობა და ადმინისტრირება 0413 | მმართველობა და ადმინისტრირება 0413 | მმართველობა და ადმინისტრირება 0413 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება | - | - | - | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ინგლისური | ქართული | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი | 120 ECTS კრედიტი | 60 ECTS კრედიტი | 60 ECTS კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) | აკრედიტებული N104, 23/05/2019 | აკრედიტებული N228 05/12/2019 | ახალი | ახალი | ახალი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | | | | | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2024 წლის 2- 4 ოქტომბერს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს ქართულ - ამერიკულ უნივერსიტეტში. ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე, დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა წინასწარ წარადგინა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია.
ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა და გააანალიზა წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი. წინამოსამზადებელი შეხვედრის ფარგლებში მოხდა პასუხისმგებლობების განაწილება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით და დაიგეგმა ვიზიტის დეტალური პროცედურები. სამდღიანი ვიზიტი განხორციელდა წინასწარ ჩამოყალიბებული და ურთიერთშეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად.
აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა შეხვედრები ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. შეფასების პროცესი წარიმართა კონსტრუქციულ და კოლეგიალურ გარემოში, რამაც შესაძლებელი გახადა პროგრამების ობიექტური შეფასება და მათი შემდგომი განვითარებისთვის რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სააკრედიტაციოდ წარდგენილი ხუთივე პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია პირველ და მეხუთე სტანდარტებთან, შესაბამისობაშია მესამე და მეოთხე სტანდარტებთან. რაც შეეხება მეორე სტანდარტს, სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო სამაგისტრო პროგრამები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დამატებითი დეტალები კომპონენტების შეფასების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ.

- რეკომენდაციები

<u>კლასტერული რეკომენდაციები:</u>

კომპონენტი 1.3

● რეკომენდებულია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

### კომპონენტი 2.1

● რეკომენდებულია, დაზუსტდეს დაშვების მოთხოვნები, დეტალურად აღიწეროს ყველა წინაპირობა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს აპლიკანტების მიერ. პროგრამის დოკუმენტებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი ჩარიცხვის ყველა შესაძლებლობა.

კერძოდ:

1. თითოეული დაშვების მოთხოვნა მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ბუნდოვანების გარეშე.
2. დაშვების პროცესის ნებისმიერი შესაძლო ვარიაცია (როგორიცაა გასაუბრებების დროს წერითი კომპონენტები) მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული.
3. ჩარიცხვის ყველა კანონიერი გზა, მათ შორის ისეთი, რომელიც ჩარიცხვის მსურველს ათავისუფლებს სტანდარტული მოთხოვნებისგან, მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი.
4. დოკუმენტაციაში სრულყოფილად უნდა იყოს მიმოხილული დაშვების პროცესი, რაც ყველა პოტენციური ჩარიცხვის მსურველისთვის უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და სამართლიანობას.

### კომპონენტი 4.3

● რეკომენდებულია, გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო - კვლევით საქმიანობაში საერთაშორისო დონეზე მაღალრეიტინგულ, ინდექსირებულ ჟურნალებში.

### კომპონენტი 5.1

● რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს დამატებითი შეხვედრები და სემინარები კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების პერსონალისთვის იმისათვის, რომ გაძლიერდეს მათი მონაწილეობა და ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღების პროცესების გაცნობის და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია, სხვადასხვა გამოკითხვების საშუალებით შეგროვებული მონაცემები საფუძვლიანად იყოს გაანალიზებული და განხილული შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან და მენეჯერებთან.

### კომპონენტი 5.3

● რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგის და განვითარების პროცესებში. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტივობები დამსაქმებლებისგან და კურსდამთვრებულებისგან პროგრამის და კონკრეტული სასწავლო თუ კვლევითი კომპონენტების შესახებ რელევანტური და შინაარსობრივი უკუკავშირის მისაღებად.
● რეკომენდებულია, შემუშავდეს პროგრამის მონიტორინგის ისეთი მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან მიღებულ რაოდენობრივ მონაცემებზე, არამედ გაითვალისწინებს შესაბამის შინაარსობრივ ანალიზსაც.
● რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს სტუდენტების მიერ კვლევითი კომპონენტის და ხელმძღვანელობის შეფასების მექანიზმები.

## <u>რეკომენდაციები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით:</u>

## კომპონენტი 1.5

("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

● რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს "კვლევის მეთოდების" კურსის შინაარსი იმისათვის, რომ სრულად შეესაბამებოდეს სადოქტორო დონის მოთხოვნებს. კურსის მოდიფიცირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადოქტორო კვლევის განხორციელებისას თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიებს და მათი პრაქტიკული გამოყენების ასპექტებს.

("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა)

● რეკომენდებულია, გაფართოვდეს კურსის შინაარსი გლობალური ბიზნეს გარემოს კონკრეტული ასპექტების გათვალისწინებით.
● რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია უფრო სპეციალიზებული კურსების დამატებით, როგორიცაა სტრატეგიული მარკეტინგი, მარკეტინგის ანალიტიკა და ციფრული მარკეტინგი, რომლებშიც აქცენტი გაკეთდება ანალიტიკურ და სტრატეგიულ კომპონენტებზე, ასევე თანამედროვე მარკეტინგულ ტექნოლოგიებზე.

("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა)

● რეკომენდებულია, გაფართოვდეს კურსის შინაარსი გლობალური ბიზნეს გარემოს კონკრეტული ასპექტების გათვალისწინებით.
● რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია უფრო სპეციალიზებული კურსების დამატებით, როგორიცაა სტრატეგიული მარკეტინგი, მარკეტინგის ანალიტიკა და ციფრული მარკეტინგი, რომლებშიც აქცენტი გაკეთდება ანალიტიკურ და სტრატეგიულ კომპონენტებზე, ასევე თანამედროვე მარკეტინგულ ტექნოლოგიებზე.

("ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

● რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია უფრო სპეციალიზებული კურსების დამატებით, როგორიცაა სტრატეგიული მარკეტინგი, მარკეტინგის ანალიტიკა და ციფრული მარკეტინგი, რომლებშიც აქცენტი გაკეთდება ანალიტიკურ და სტრატეგიულ კომპონენტებზე, ასევე თანამედროვე მარკეტინგულ ტექნოლოგიებზე.

("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

● რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია უფრო სპეციალიზებული კურსების დამატებით, როგორიცაა სტრატეგიული მარკეტინგი, მარკეტინგის ანალიტიკა და ციფრული მარკეტინგი, რომლებშიც აქცენტი გაკეთდება ანალიტიკურ და სტრატეგიულ კომპონენტებზე, ასევე თანამედროვე მარკეტინგულ ტექნოლოგიებზე.

## კომპონენტი 2.1

("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

● რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს დოქტორანტების ხელმძღვანელების დანიშვნის პროცედურები, მათ შორის თითოეული ხელმძღვანელისთვის დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.

ასევე რეკომენდებულია, განისაზღვროს მეთოდოლოგია, თუ როგორ მოხდება ყოველწლიურად მისაღები დოქტორანტების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა.

## კომპონენტი 2.2

("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა)

- რეკომენდებულია, სტუდენტების მხარდაჭერა სამეცნიერო კონფერენციებში მათი ჩართულობის / მონაწილეობის უზრუნველყოფით.
- რეკომენდებულია, მემორანდუმებში მკაფიოდ განისაზღვროს როგორც სტაჟირების ხანგრძლივობა, ასევე ჩართული სტუდენტების რაოდენობა.

("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა)

- რეკომენდებულია, სტუდენტების მხარდაჭერა სამეცნიერო კონფერენციებში მათი ჩართულობის / მონაწილეობის უზრუნველყოფით.
- რეკომენდებულია, მემორანდუმებში მკაფიოდ განისაზღვროს როგორც სტაჟირების ხანგრძლივობა, ასევე ჩართული სტუდენტების რაოდენობა.

("ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

- რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს რეალური ბიზნეს პროექტები და დარგის ლიდერებთან ინტენსიური ურთიერთობის შენარჩუნება, რაც "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამას განასხვავებს ტრადიციული "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამისგან.

("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

- რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს რეალური ბიზნეს პროექტები და დარგის ლიდერებთან ინტენსიური ურთიერთობის შენარჩუნება, რაც "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამას განასხვავებს ტრადიციული "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამისგან.

## კომპონენტი 3.2

("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

- რეკომენდებულია, კვლევითი პროცესი და სტუდენტის და ხელმძღვანელის თანამშრომლობა გახდეს უფრო მკაფიო, სტრუქტურირებული და დაგეგმილი. შედეგად, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა შეაფასონ მათი ხელმძღვანელებთან თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვისაც.

- ## რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

<u>კლასტერის საერთო რჩევები:</u>

## კომპონენტი 1.1

სასურველია, პროგრამაში მეტად გაძლიერდეს აღმასრულებელი კომპეტენციების განმავითარებელი კომპონენტები - ლიდერობის უნარები, სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, არსებული მენეჯერული

გამოცდილების გამოყენება და გლობალური ბიზნესის პერსპექტივა. ასევე, სასურველია პროგრამის მიზნებში აისახოს ქსელური და პროფესიული ურთიერთობების განვითარების მექანიზმები. აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს პროგრამის მეტ შესაბამისობას აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკასთან და გაზრდის მის ეფექტურობას მაღალი რგოლის მენეჯმენტის განვითარებისთვის.**კომპონენტი 1.2**

- სასურველია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და აისახოს მხოლოდ ძირითადი სპეციალობის სფეროს კურსები.

## კომპონენტი 1.3

- სასურველია, გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კერძოდ რუბრიკაზე დაფუძნებული ინსტრუმენტი.

## კომპონენტი 4.1

- სასურველია, და შესაძლოა მომგებიანი იყოს სხვადასხვა პროგრამისათვის ამ პროგრამებთან აფილირებულიუ პერსონალის ყოლა შესაბამისი ბიზნეს გამოცდილებით, რათა უკეთ დაკმაყოფილდეს თითოეული პროგრამის უნიკალური საჭიროებები, რადგან როგორც დოკუმენტაციებიდან იკვეთება, ერთი და იგივე პერსონალი ჩართულია მრავალი პროგრამის განხორციელებაში.
-

## კომპონენტი 4.2

- სასურველია, სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებმა გააუმჯობესონ თავიანთი სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა სამეცნიერო სტატიების Web of Science - ის ან Scopus - ის მონაცემთა ბაზების ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებით. ასევე სასურველია აღნიშნულ აქტივობებში ითანამშრომლონ თავიანთ სტუდენტებთან, რომელთა კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელობასაც ახორციელებენ.

## კომპონენტი 4.3

- სასურველია, განახლდეს პერსონალის CV - ები, სადაც სრულად იქნება ასახული ინფორმაცია გამომცემლების და გამოქვეყნებების ბმულების შესახებ.

## კომპონენტი 5.2

- სასურველია, პროგრამების განვითარება შეფასდეს დარგის ექსპერტების, მათ შორის უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. უნივერსიტეტს ესაჭიროება გარე შეფასება, რომელიც ორიენტირებული იქნება შინაარსობრივ დეტალებზე, შეისწავლის სწავლის შედეგების სასწავლო კომპონენტებთან შესაბამისობას.

რჩევები ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით:

## კომპონენტი 1.4

## ("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

● სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამის რეგულაციებში მიეთითოს სადისერტაციო ნაშრომის გარე შეფასების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო რეცენზენტის მოთხოვნა.
● სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სპეციალობის საგნები.

## ("ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

● სასურველია, როგორც პროგრამის ფარგლებში, ისე მის გარეთ განხორციელდეს „ნეთვორქინგის" ღონისძიებები.. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს მრგვალი მაგიდის დისკუსიებს, სემინარებს, დარგის ლიდერებთან შეხვედრებს და სოციალურ შეკრებებს. აღნიშნულ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება და გამოცდილების გაზიარება გააძლიერებს მათ პროფესიულ ქსელებს.
● სასურველია, გაძლიერდეს სასწავლო პროცესში დარგის ექსპერტების და პრაქტიკოსების ჩართულობა. ლექციების ჩასატარებლად, ქეისების გასაანალიზებლად და პრაქტიკული გამოცდილების გასაზიარებლად გამოცდილი მენეჯერების და ბიზნეს ლიდერების მოწვევა გაამდიდრებს საგანმანათლებლო გამოცდილებას და გააძლიერებს აკადემიას და ინდუსტრიას შორის კავშირს.

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის მენტორობის კომპონენტი სტუდენტების გამოცდილ მენეჯერებთან ან ბიზნეს ლიდერებთან დაწყვილების გზით, რომლებსაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მათ პროფესიულ განვითარებას, გაუწიონ კონსულტაცია რეალურ გამოწვევებთან დაკავშირებით და გაუზიარონ ღირებული ხედვები და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა.

## ("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

● სასურველია, როგორც პროგრამის ფარგლებში, ისე მის გარეთ განხორციელდეს ნეთვორქინგის ღონისძიებების სერია. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს მრგვალი მაგიდის დისკუსიებს, სემინარებს, დარგის ლიდერებთან შეხვედრებს და სოციალურ შეკრებებს. აღნიშნულ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება და გამოცდილების გაზიარება დაეხმარება მათი პროფესიული ქსელების გაძლიერებას.
● სასურველია, გაძლიერდეს სასწავლო პროცესში დარგის ექსპერტების და პრაქტიკოსების ჩართულობა. ლექციების ჩასატარებლად, ქეისების გასაანალიზებლად და პრაქტიკული გამოცდილების გასაზიარებლად გამოცდილი მენეჯერების და ბიზნეს ლიდერების მოწვევა გაამდიდრებს საგანმანათლებლო გამოცდილებას და გააძლიერებს აკადემიას და ინდუსტრიას შორის კავშირს.

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის მენტორობის კომპონენტი სტუდენტების გამოცდილ მენეჯერებთან ან ბიზნეს ლიდერებთან დაწყვილების გზით, რომლებსაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მათ პროფესიულ განვითარებას, გაუწიონ კონსულტაცია რეალურ გამოწვევებთან დაკავშირებით და გაუზიარონ ღირებული ხედვები და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა.

კომპონენტი 2.4

("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

სასურველია, დისერტაციის დაცვის სპეციფიკურობისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, სავალდებულო მოთხოვნის სახით, დაემატოს თეორიული ჩარჩო და კვლევითი კომპონენტები, რომელიც წინ უსწრებს საბოლოო დაცვას და, სავარაუდოდ, განაწილებული იქნება სემესტრების მიხედვით. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს ფაკულტეტის საბჭოს წევრებს, საჭიროებისამებრ, შესთავაზონ თავიანთი მოსაზრებები და რეკომენდაციები, რითაც გაუმჯობესდება სადოქტორო დისერტაციის პროცესის საერთო ხარისხი და სტანდარტი. **კომპონენტი 3.1**

("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა)

- სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა გაზარდონ თავიანთი ჩართულობა კონფერენციებში და სამეცნიერო პროექტებში. აღნიშნული ჩართულობა გააუმჯობესებს მათ აკადემიურ გამოცდილებას, ხელს შეუწყობს პროფესიულ განვითარებას და გააადვილებს დარგის ექსპერტებთან კავშირების დამყარების შესაძლებლობებს. გარდა ამისა, ამ აქტივობებში აქტიური მონაწილეობა ხელს შეუწყობს პროგრამის საერთო სანდოობას და დარგის თანამედროვე ტენდენციებთან და კვლევებთან შესაბამისობას [1] [2].

("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა)

- სასურველია, ინგლისურენოვანი პროგრამებისათვის ლექტორებად უცხოელი ექსპერტების მოწვევა, რომლებიც სტუდენტებს გაუზიარებენ ღირებულ საერთაშორისო პერსპექტივებსა და გამოცდილებას, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროგრამის ხარისხსა და მიმზიდველობას.

("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

- სასურველია, ინგლისურენოვანი პროგრამებისათვის ლექტორებად უცხოელი ექსპერტების მოწვევა, რომლებიც სტუდენტებს გაუზიარებენ ღირებულ საერთაშორისო პერსპექტივებსა და გამოცდილებას, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროგრამის ხარისხსა და მიმზიდველობას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[1]

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით.. აღნიშნული არგუმენტირებული პოზიციის

---

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

საფუძველზე, 1.4 კომპონენტის ინდივიდუალური რეკომენდაცია (რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის მენტორობის კომპონენტი სტუდენტების გამოცდილ მენეჯერებთან ან ბიზნეს ლიდერებთან დაწყვილების გზით, რომლებსაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მათ პროფესიულ განვითარებას, გაუწიონ კონსულტაცია რეალურ გამოწვევებთან დაკავშირებით და გაუზიარონ ღირებული ხედვები და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა.) გადაკეთდა ინდივიდუალურ რჩევად. რამდენიმე რეკომენდაცია დაწესებულების მიერ სრულად ან ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული. დანარჩენი რეკომენდაციები კი შენარჩუნდა იგივე ფორმით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
2. კლასტერული შეფასება

| სტანდარტი / კომპონენტი | შეფასების მიდგომები: |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |

| | |
|---|---|
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა და ანალიზი - "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამის მიზნები ნათელი და ყოვლისმომცველია; ორიენტირებულია ოთხ ძირითად მიმართულებაზე: სამეცნიერო პერსონალის მომზადება, კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენება, მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნა და აკადემიური პერსონალის მომზადება.

აღნიშნული მიზნები რეალისტური და მიღწევადია, რადგან პროგრამა მხარდაჭერილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, საკმარისი ფინანსური რესურსებით და მკაფიოდ განსაზღვრული სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით. სწავლების (60 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტების ინტეგრირებით, პროგრამა შეესაბამება სადოქტორო განათლების მოთხოვნებს, პროფესორის ასისტენტობის შესაძლებლობების უზრუნველყოფით და კვლევის მეთოდების და აკადემიური წერის კურსების შეთავაზებით.

პროგრამის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან დარგის სიღრმისეული ცოდნით, კვლევის მოწინავე უნარებით, აკადემიური წერის და პრეზენტაციის უნარებით, თანამედროვე სწავლების მეთოდების ცოდნით და დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების კომპეტენციით.

გვჯერა, რომ პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შემდეგ სფეროებში: ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ცოდნის გაღრმავება, კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენება, მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მომზადება და დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ინოვაციური კვლევების ჩატარება.

პროგრამაში ასევე მოიცავსინტერნაციონალიზაციის ელემენტებს, რაც გამოხატება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნასა და უცხოური უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების მიღების მზაობაში.

სამეცნიერო - კვლევითი და საგანმანათლებლო - პრაქტიკული ინიციატივების მხარდაჭერით პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამა ხაზს უსვამს ინოვაციურ საქმიანობას და ცდილობს ცოდნის შექმნის, გავრცელების და გამოყენების გზით შეიტანოს წვლილი საზოგადოების განვითარებაში.

კონკრეტულად, პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიის ხუთ ძირითად სფეროს: დამოუკიდებელი კვლევის უნარების განვითარება და რეალური ბიზნესგამოწვევების გადაჭრა. ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროში პრაქტიკული განათლების უზრუნველყოფა;სოციალური პასუხისმგებლობის და ბიზნესეთიკის ხელშეწყობა; გლობალური

ინტეგრაციის ხელშეწყობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გეგმის მეშვეობით; როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ დონეზე ცოდნის გაზიარების უნარების გაუმჯობესება.

აღწერა და ანალიზი - "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებული და ლოგიკურად სტრუქტურირებულია. პროგრამის კომპონენტები - 90 კრედიტი სასწავლო კურსებისთვის, 10 კრედიტი პრაქტიკული სამუშაოსთვის და 20 კრედიტი კვლევისთვის - რეალისტურად არის განაწილებული, რაც უზრუნველყოფს წელიწადში 60 - 75 კრედიტის ფარგლებში მის განხორციელებადობას. პროგრამა მხარდაჭერილია შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზით, კვალიფიციური აკადემიური პერსონალით და მრავალფეროვანი ეფექტური სწავლების მეთოდებით.

პროგრამა აკმაყოფილებს მაგისტრის ხარისხის აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებს სიღრმისეული თეორიული ცოდნის უზრუნველყოფით, უმაღლესი დონის კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებით და მნიშვნელოვანი პრაქტიკული კომპონენტის გათვალისწინებით. პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძენენ ბიზნესის მართვის კონცეფციების ყოვლისმომცველ ცოდნას, კრიტიკული ანალიზის და მსჯელობის უნარებს, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის უნარს, კვლევით კომპეტენციებს, ასევე ლიდერობის და გადაწყვეტილებების მიღების უნარებს.

მოსალოდნელია, რომ მაღალკვალიფიციური მენეჯერების მომზადებით, პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც ბიზნესის მართვის სფეროს, ისე საზოგადოების განვითარებაში. პროგრამა ხაზს უსვამს სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, ეთიკური ბიზნეს პრაქტიკის დანერგვას და კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გათვალისწინებას.

აღწერა და ანალიზი - "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

"ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის მიზნები მკაფიოდა რეალისტურიაპროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული და მოიცავს 90 - კრედიტის მოცულობის აკადემიურ კომპონენტს, 10 - კრედიტის მოცულობის პრაქტიკულ კომპონენტს და 20 - კრედიტის მოცულობის კვლევით კომპონენტს. სასწავლო დატვირთვა კარგად არის დაბალანსებული და შესაძლებელია მისი დასრულება წელიწადში 60-75 კრედიტის ფარგლებში. პროგრამის განხორციელება მხარდაჭერილია ძლიერი მატერიალურ - ტექნიკური ბაზით და მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით.

პროგრამა შეესაბამება მაგისტრის ხარისხის საგანმანათლებლო და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სპეციფიკურ მოთხოვნებს. ის მოიცავს უახლეს თეორიულ ცოდნას და ხელს უწყობს კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას. დარგის სპეციფიკური ასპექტები სრულად არის გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კურსების შინაარსში, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს ოთხ სპეციალობას: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი და მონაცემთა ანალიზი.

მკაფიოდ არის განსაზღვრული კურსდამთავრებულის კომპეტენციები. კურსდამთავრებულები დაეუფლებიან ბიზნესის მენეჯმენტის სიღრმისეულ ცოდნას, კრიტიკულ ანალიზს, პრობლემების გადაჭრის, კვლევის და ლიდერობის უნარებს. პროგრამის მთავარ ძლიერ მხარეს წარმოადგენს მისი აქცენტი გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილებების მიღებაზე, რაც თანამედროვე მენეჯერებისთვის არის აუცილებელი უნარი.

პროგრამას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში. ის ამზადებს მაღალკვალიფიციურ მენეჯერებს, ხელს უწყობს სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას და ეთიკური ბიზნეს პრაქტიკის დანერგვას. გარდა ამისა, კვლევითი კომპონენტი ორიენტირებულია რეალური ბიზნეს გამოწვევების გადაჭრაზე, რაც ზრდის მის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

პროგრამა გამოირჩევა ინტერნაციონალიზაციით. სწავლება ხორციელდება მთლიანად ინგლისურ ენაზე; მოითხოვება ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონე (მინიმუმ 70%). პროგრამა სწავლა ასევე შეუძლიათ უცხოელ სტუდენტებს. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ანალიზის სპეციალიზაცია წარმოადგენს პროგრამის გამორჩეულ მახასიათებელს, რაც ასახავს აღნიშნული სფეროს მზარდ მნიშვნელობას თანამედროვე ბიზნეს განათლებაში. პროგრამა მოიცავს ისეთ აქტუალურ კურსებს, როგორიცაა მანქანური სწავლება და სტოქასტური აღრიცხვა.

როგორც ინგლისურენოვანი, ისე ქართულენოვანი "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამების მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიის ხუთ ძირითად სფეროს: დამოუკიდებელი კვლევის უნარების განვითარება და რეალური ბიზნეს პრობლემების გადაჭრა; ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროში პრაქტიკული განათლების უზრუნველყოფა; სოციალური პასუხისმგებლობის და ეთიკური ბიზნეს პრაქტიკის ხელშეწყობა; გლობალური ინტეგრაციის მხარდაჭერა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო გეგმის მეშვეობით; როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ დონეზე ცოდნის გაზიარების უნარების გაუმჯობესება.

**აღწერა და ანალიზი - "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ნათლად და თანმიმდევრულად. პროგრამის სტრუქტურა, რომელიც შედგება 40 კრედიტის მოცულობის აკადემიური კომპონენტისგან და 20 კრედიტის მოცულობის კვლევითი კომპონენტისგან, დაგეგმილია რეალისტურად, დასახული მიზნების მისაღწევად.

პროგრამის მიზნები მორგებულია სწავლების სპეციფიკურ დონეს და სფეროს, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აღმასრულებელი მენეჯერების პროფესიული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული ორიენტაცია ასახულია მიღების წინაპირობებში, რომელიც მოითხოვს მინიმუმ ხუთწლიან მენეჯერულ გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართვისთვის სტუდენტების სათანადო მზაობას. შეთავაზებული სპეციალობები - ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი და მონაცემთა ანალიზი - შეესაბამება თანამედროვე ბიზნეს გარემოს მოთხოვნებს.

პროგრამა სრულად ითვალისწინებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სპეციფიკას. ის აერთიანებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, აკმაყოფილებს სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების განათლებაში დაბალანსებულ და ყოვლისმომცველ მიდგომას.

მოსალოდნელი სწავლის შედეგები დეტალურად აღწერს კურსდამთავრებულების მიერ განსავითარებელ კომპეტენციებს. პროგრამა ხელს უწყობს როგორც დარგობრივი ცოდნის, ისე ზოგადი უნარების შეძენას, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ანალიტიკურ, კვლევით და პრაქტიკულ უნარებზე.

ბიზნეს სექტორის წინსვლაზე ორიენტაციით, პროგრამას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს დარგის და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამა ხაზს უსვამს სოციალურ პასუხისმგებლობას და ინოვაციური და ეთიკური ბიზნეს პრაქტიკის ხელშეწყობას.

შრომის ბაზრის მოთხოვნების და საერთაშორისო ტენდენციების საპასუხოდ, პროგრამა აერთიანებს თანამედროვე ბიზნეს ტექნოლოგიებს და მიდგომებს. პროგრამა ითვალისწინებს გლობალიზაციის გამოწვევებს და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს მის რელევანტურობას და კონკურენტუნარიანობას. პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული და აკმაყოფილებს ყველა განსაზღვრულ კრიტერიუმს. პროგრამის ძლიერი მხარეა განსაკუთრებული ძლიერი მხარე მისი პრაქტიკული კომპონენტები და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პროგრამის მიზნები ასახავს "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამის უნიკალურ მახასიათებლებს. ისინი მკაფიოდ ისახავენ მიზნად მოამზადონ სტუდენტები ბიზნესსექტორში პრაქტიკული საქმიანობისთვის და განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გადაწყვეტილებების მიღების უმაღლესი რგოლის უნარების განვითარებაზე, განსაკუთრებით კრიზისულ პირობებში. გარდა ამისა, პროგრამა შექმნილია იმისათვის, რომ აღჭურვოს სტუდენტები ცოდნით, უნარებით და კვალიფიკაციით, რაც აუცილებელია აღმასრულებელი პოზიციების დასაკავებლად და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა სტრატეგია, ოპერაციები, ბაზრები, მარკეტინგი და ფინანსები.

თუმცა, შესაძლებელი იყო პროგრამის მიზნებში უფრო მკაფიოდ ყოფილიყო ხაზგასმული ზოგიერთი კრიტიკული ასპექტი. აღნიშნული მოიცავს ლიდერობის უნარების განვითარებას, სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას, არსებული მენეჯერული გამოცდილების გამოყენებას და გაღრმავებას და გლობალური ბიზნეს პერსპექტივის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია პროგრამა მეტად იყოს ფოკუსირებულიპროგრამას შეუძლია მეტიქსელური კავშირებისა და პროფესიული კონტაქტების განვითარებაზე, რაც წარმოადგენს "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის ერთ - ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. აღნიშნული ელემენტების ხაზგასმა კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამის შესაბამისობას სამიზნე აუდიტორიის მოლოდინებთან და საჭიროებებთან.

**შრომის ბაზრის კვლევა**

შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი ავლენს დასაქმების რამდენიმე მნიშვნელოვან ტენდენციას. კერძო სექტორი რჩება დასაქმების მთავარ წყაროდ, რაც შეადგენს მთლიანი სამუშაო ადგილების 76% - ს. 2022 წელს უმუშევრობის დონე შემცირდა 17.3% - მდე, რაც 3.3% - ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. თუმცა, ახალგაზრდების უმუშევრობა კვლავ რჩება კრიტიკულ საკითხად, განსაკუთრებული მაღალი მაჩვენებლით - 41% 20 - 24 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

სექტორული განაწილების თვალსაზრისით, მომსახურების სექტორზე მოდის მთლიანი დასაქმების 62%, მას მოსდევს სოფლის მეურნეობა 18%, მრეწველობა 12% და მშენებლობა 8%. ძირითადი გამოწვევები მოიცავს კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობას, საგანმანათლებლო შედეგებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას, კურსდამთავრებულთა არასაკმარის პრაქტიკულ უნარებს და ტექნიკური და ციფრული კომპეტენციების გაძლიერების საჭიროებას.

ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს კურსდამთავრებულებზე არსებობს მუდმივი მოთხოვნა. თუმცა, დამსაქმებლები ხაზს უსვამენ განათლების პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერების და ციფრული უნარების შემდგომი განვითარების საჭიროებას. აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი აღემატება ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს, რაც ხაზს უსვამს შრომის ბაზარზე მის მნიშვნელობას.

კვლევა მიუთითებს კვალიფიციურ პერსონალზე მზარდ მოთხოვნას, განსაკუთრებით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. აღნიშნული მოთხოვნის ეფექტურად დაკმაყოფილების მიზნით, აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემისშრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებაპრაქტიკული სწავლების და ციფრული უნარების განვითარების გაძლიერებაზე განსაკუთრებული ფოკუსით.

ყველა აღნიშნული პროგრამა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- უსდ-ს მისია;
- უსდ-ს ვებ-გვერდი; https://www.gau.edu.ge/ka/about/history-and-mission
- "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ვებ - გვერდი: https://www.gau.edu.ge/ka
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 ("ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 5 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

სასურველია, პროგრამაში მეტად გაძლიერდეს აღმასრულებელი კომპეტენციების განმავითარებელი კომპონენტები - ლიდერობის უნარები, სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება, არსებული მენეჯერული გამოცდილების გამოყენება და გლობალური ბიზნესის პერსპექტივა. ასევე, სასურველია პროგრამის მიზნებში აისახოს ქსელური და პროფესიული ურთიერთობების განვითარების მექანიზმები. აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს პროგრამის მეტ შესაბამისობას აღმასრულებელი ბიზნესის

ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკასთან და გაზრდის მის ეფექტურობას მაღალი რგოლის მენეჯმენტის განვითარებისთვის.

**შეფასება**[2]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| **კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

[2] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტების მომზადებას როგორც კვლევითი, ისეე პრაქტიკული საქმიანობისთვისპროგრამის ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სამეცნიერო მიღწევებში წვლილის შეტანასა და აკადემიური სწავლების კომპეტენციების განვითარებაზე. პროგრამის მეშვეობით, დოქტორანტები იძენენ ფართო ცოდნას, თანამედროვე უნარებს და ავტონომიურობის მაღალ ხარისხს.

პროგრამა აკმაყოფილებს სადოქტორო განათლების მოთხოვნებს. ის ხაზს უსვამს დამოუკიდებელიკვლევის მნიშვნელობას, ახალი ცოდნის შექმნას, კრიტიკულ ანალიზს, რთული პრობლემების გადაჭრას და აკადემიური სწავლების უნარების განვითარებას.

პროფესიული და შრომის ბაზრის მოთხოვნების თვალსაზრისით, პროგრამა სთავაზობს დასაქმების ფართო შესაძლებლობებს. კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან აკადემიურ, კვლევით და ბიზნესორგანიზაციებში მმართველ პოზიციებზე.

პროგრამა ითვალისწინებს თანამედროვე საჭიროებებს, მათ შორის ინოვაციების ხელშეწყობას, პრაქტიკულ გამოყენებას, სწავლების მეთოდოლოგიების განვითარებას და კვლევაში წვლილის შეტანას.

სადოქტორო პროგრამის მიზნებს და შედეგებს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი, რაც გამოხატულია შემდეგნაირად:

- მიზანი 1: სისტემატური კვლევისთვის სამეცნიერო პერსონალის მომზადება - მიიღწევა დოქტორანტების უნარით, გამოავლინონ დარგში აქტუალური საკითხები და აწარმოონ კვლევა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად.

- მიზანი 2: კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება - ორინტირებულია ინოვაციურ კვლევით პროექტებზე და ცოდნის ეფექტურ გავრცელებაზე როგორც აკადემიურ, ისე ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში.

- მიზანი 3: მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნა - მიიღწევა კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებით, ორიგინალური დასკვნებისა და მაღალი დონის აკადემიური პროდუქტების შექმნით.

- მიზანი 4: აკადემიური პერსონალის მომზადება - მიიღწევა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენების კომპეტენციების განვითარებით.

პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების გაზომვის ძლიერ სისტემას, რომელიც მოიცავს კონკრეტულ კრიტერიუმებს და მექანიზმებს. შეფასების პროცესი ეფუძნება თითოეული შედეგისთვის კარგად განსაზღვრულ კრიტერიუმებს, იყენებს ექვსდონიან შეფასების სკალას A-დან F-მდე, შესაბამისი ქულების დიაპაზონით (91-100-დან 40 ქულამდე). სიცხადის და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად, სწავლის შედეგებში გამოყენებულია აქტიური ზმნები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები)

პროგრამის სწავლის შედეგები მჭიდროდ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და აერთიანებს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრისგან მოსალოდნელ ცოდნას, უნარებს და ავტონომიურობას. შედეგები ჩამოყალიბებულია ნათელი და გაზომვადი ტერმინებით, გამოყენებულია ისეთი აქტიური ზმნები, როგორიცაა "აღწერს", "აანალიზებს" და "იყენებს", რაც ხელს უწყობს მათი მიღწევის შეფასებას.

კვალიფიკაციის დონეზე, სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებს. ისინი მოიცავენ ბიზნესის მენეჯმენტის კონცეფციების თანამედროვე და სისტემურ ცოდნას, კრიტიკულ ანალიზს, არგუმენტირებულ მსჯელობას და დამოუკიდებელი კვლევის კომპეტენციებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა პრიორიტეტს ანიჭებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და ინოვაციების ხელშეწყობის უნარების განვითარებას.

სწავლის შედეგები ზუსტად ასახავს ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივ სპეციფიკას და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა მენეჯმენტი, ფინანსები და მარკეტინგი. გარდა ამისა, ისინი პასუხობენ შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს და სძენენ კურსდამთავრებულებს ანალიტიკური აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების და პროექტების მართვის უნარებს. პროგრამა ეფექტურად ამზადებს სტუდენტებს პრაქტიკული მუშაობისთვის და ამავდროულად, აძლევს მათ მყარ საფუძველს რომ სწავლა გააგრძელონ სადოქტორო საფეხურზე.

დარგობრივი მახასიათებლების და სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი შეფასება: პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლებში განსაზღვრულ კომპეტენციებს.

- ცოდნა და გაცნობიერება: პროგრამის პირველი და მეორე სწავლის შედეგები სრულად მოიცავს ბიზნესის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, ასევე კრიტიკულ გააზრებას.

- უნარები:

- სწავლის შედეგები 3, 4 და 5 დემონსტრირებს კვლევით და ანალიტიკურ უნარებს.
- სწავლის შედეგები 6, 7 და 8 ასახავს პრაქტიკულ და კომუნიკაციის უნარებს.
- სწავლის შედეგები 9 და 10 ეხება პროფესიული განვითარების უნარებს.

- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: სწავლის შედეგები 8, 9 და 10 ეფექტურად წარმოადგენს პროფესიულ პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას.

ამრიგად, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს მაგისტრის ხარისხისთვის მოთხოვნილი კომპეტენციების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - 5 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამები)

პროგრამის 10 სწავლის შედეგი შეესაბამება მის ოთხ ძირითად მიზანს, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ანალიტიკური და კვლევითი უნარების განვითარებაზე, ასევე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარების ჩამოყალიბებაზე.

შედეგები ფორმულირებულია გაზომვადი ზმნების გამოყენებით, როგორიცაა "აღწერს", "აანალიზებს", "იყენებს" და "ახორციელებს". თითოეული შედეგი დაკავშირებულია მიღწევის განსაზღვრულ დონეებთან (E, I, R) და შესაბამის შეფასების მექანიზმებთან, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ შეფასებას.

სწავლის შედეგები აკმაყოფილებს მაგისტრის ხარისხის სტანდარტებს, მოიცავს უახლეს ცოდნას, კრიტიკულ ანალიზს და დამოუკიდებელი კვლევის კომპეტენციებს. ისინი ყოვლისმომცველად მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად სფეროებს, მათ შორის ფინანსებს, მარკეტინგს, მენეჯმენტს და მონაცემთა ანალიზს.

შედეგები ორიენტირებულია პრაქტიკულ გამოყენებასა და კვლევითი უნარების განვითარებაზე, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს როგორც დასაქმების, ისე სადოქტორო დონეზე აკადემიური სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.

"ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების დარგის პროფილთან შედარებითი ანალიზი ავლენს შემდეგს: პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს დარგის პროფილში განსაზღვრულ კომპეტენციებს. კერძოდ:

- ცოდნა და გაცნობიერება: პროგრამის სწავლის შედეგები 1 და 2 სრულად მოიცავს სიღრმისეულ თეორიულ ცოდნას და კრიტიკულ აზროვნებას.

- უნარები: სწავლის შედეგები 3, 4, 5, 6, 7 და 8 ასახავს ყველა აუცილებელ პრაქტიკულ და კვლევით უნარს.

- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: სწავლის შედეგები 9 და 10 მოიცავს პროფესიულ პასუხისმგებლობას და უწყვეტ განვითარებას.

ამრიგად, "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ეფექტურად შეესაბამება დარგის პროფილს და უზრუნველყოფს საჭირო კომპეტენციების შეძენას.

შრომის ბაზრის რელევანტურობა: პროგრამა ეფექტურად პასუხობს თანამედროვე ბიზნეს გარემოს მოთხოვნებს, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიც არის ციფრული ტექნოლოგიები, ინოვაციების მართვა და მონაცემთა ანალიზი.

წარმოდგენილი ყველა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა მიუთითებს, რომ როგორც ძირითადი, ისე არჩევითი კურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, დადგენილი აკადემიური პრაქტიკის თანახმად, პირველ რიგში აღნიშნული მიზანი უნდა შეასრულონ მხოლოდ ძირითადმა კურსებმა. აღნიშნული ხარვეზი საჭიროებს გამოსწორებას. შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევის ძირითადი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ძირითად კურსებს. აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ნათლად შეესაბამებოდეს ძირითად კურსებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ვებ - გვერდი: https://www.gau.edu.ge/ka
- გასაუბრების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:**

სასურველია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და აისახოს მხოლოდ ძირითადი სპეციალობის სფეროს კურსები.

o

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 ("ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 5 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| **კომპონენტი 1.2 - პროგრამის სწავლის შედეგები** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. "ბიზნესის ადმინისტრირების" | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა | | | | |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი შეფასების მექანიზმები, მეთოდები და მათი პერიოდულობა. მექანიზმი მოიცავს როგორც პირდაპირ (წერითი გამოცდები, პროექტები და პრეზენტაციები), ასევე არაპირდაპირ მეთოდებს (გამოკითხვები და შედარებითი ანალიზი). შეფასება ტარდება სემესტრულად, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას ყველა პროგრამის ფარგლებში.

შეფასების სისტემა შეესაბამება ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სტანდარტებს და გაუსის ნორმალურ განაწილებას. შეფასების კრიტერიუმების აღწერის მიზნით და სტუდენტების მიღწევების ობიექტური შეფასების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია რუბრიკები.

დოკუმენტში ნახსენებია დამსაქმებელთა / კურსდამთავრებულთა გამოკითხვების გამოყენება, როგორც შეფასების არაპირდაპირი მეთოდი.

სამიზნე ნიშნულები: დოკუმენტი განსაზღვრავს სამიზნე ღირებულებებს (20% - იანი გადახრის ზღვრით) და აყალიბებს მონიტორინგის მექანიზმებს. მასში განსაზღვრულია კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას პროგრამის მოდიფიკაციის საჭიროების შემთხვევაში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ "სტუდენტის შეფასება მხოლოდ ქულით არ იძლევა საკმარის უკუკავშირს მის მიღწევებთან დაკავშირებით, რადგან ქულა მიუთითებს მხოლოდ კომპეტენციის საერთო დონეზე. საერთო ქულა ვერ ავლენს კონკრეტულ სწავლის შედეგებში ძლიერ და სუსტ მხარეებს."

დოკუმენტი ასევე განიხილავს რუბრიკების საჭიროებას, განმარტავს, რომ "რუბრიკა არის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სტუდენტის მიღწევების კლასიფიკაციისთვის. თითოეული რუბრიკა მოიცავს კრიტერიუმების ნაკრებს და აღნიშნულ კრიტერიუმებთან დაკავშირებულ ქულებს ან ნიშნებს." დოკუმენტში ასევე მოცემულია რუბრიკის ნიმუში, რომელიც აღწერს შეფასების დონეებს A - დან F - მდე, თითოეული დონისთვის შესაბამისი კრიტერიუმებით. თითოეული დონისთვის რუბრიკა

განსაზღვრავს უნარების გამოყენების ხარისხს, ანალიტიკური აზროვნების დონეს, მტკიცებულებების სინთეზის უნარს და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

თუმცა, დოკუმენტი სრულად არ მოიცავს შემდეგ საკითხებს: კონკრეტული საგნებისთვის რუბრიკების შემუშავების პროცესს, როგორ ხდება სასწავლო პროცესის დასაწყისში სტუდენტებისთვის რუბრიკების გაცნობა, როგორ იყენებენ რუბრიკებს შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეები (მაგ. დამსაქმებლები).

შეჯამების სახით, დოკუმენტი აღიარებს განსხვავებას ქულებზე დაფუძნებულ და რუბრიკებზე დაფუძნებულ შეფასებას შორის და უპირატესობას ანიჭებს უკანასკნელს. თუმცა, აღნიშნული საჭიროებს უფრო დეტალურ აღწერას მისი პრაქტიკული განხორციელების შესახებ. გარდა ამისა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჯერ არ აქვს შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მორგებული იქნება ინდივიდუალურ პროგრამებზე, მათი სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

*კლასტერის საერთო რეკომენდაციები:*

რეკომენდებულია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

*კლასტერის საერთო რჩევები:*

სასურველია, გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კერძოდ, რუბრიკაზე დაფუძნებული ინსტრუმენტი.

o

*რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:*

პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 ("ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 5 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| **კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. "ბიზნესის ადმინისტრირების" | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა | | | | |
| პროგრამა 5. "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და გადახედვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს შემდეგს:

- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა: დოკუმენტი მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, როგორიცაა: პროგრამის სახელწოდება, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტების განაწილება, სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა.
- პროგრამის შემუშავების პროცესი: დოკუმენტში მითითებულია პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული მხარეები (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები) და მათი შესაბამისი როლები.
- პროგრამის შეფასების და გაუმჯობესების პროცედურები: აღწერილია როგორც ყოველწლიური, ასევე სამწლიანი შეფასების მექანიზმები და შესაბამისი რეაგირების პროცედურები.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი: აღნიშნული ძირითადად შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** ("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

სადოქტორო პროგრამის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება მოთხოვნილ სწავლის დონეს. პროგრამის ხანგრძლივობაა სამი წელი და მოიცავს როგორც სასწავლო (60 კრედიტი), ისე კვლევით კომპონენტებს. საგანმანათლებლო კომპონენტი მოიცავს კვლევის მეთოდების კურსს, პროფესორის ასისტენტობას და აკადემიურ წერას, რაც უზრუნველყოფს დოქტორანტების მომზადებას სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის.

პროგრამა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ECTS კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპულ სისტემას. სასწავლო დატვირთვა, კრედიტების განაწილება და შეფასების სისტემა შემუშავებულია არსებული რეგულაციების შესაბამისად. სტუდენტის დატვირთვის გაანგარიშება ეფუძნება ECTS ევროპული კედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის სახელმძღვანელოს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის საერთაშორისო აღიარებას.

პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების კვლევაზე და დოქტორანტებს აძლევს საშუალებას აირჩიონ მათი ინტერესების შესაბამისი კვლევითი მიმართულება. პროგრამის რესურსები, მათ შორის კვლევითი ინსტიტუტები და ბიბლიოთეკები, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის კვლევას. არჩევითი კურსების სისტემა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს მოქნილობას.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა აკმაყოფილებს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის კვალიფიკაციის მოთხოვნებს. სწავლის შედეგები ასახავს სადოქტორო დონის კომპეტენციებს, ხოლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს აღნიშნული შედეგების მიღწევას. კვლევითი კომპონენტი ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე, ხოლო სასწავლო კომპონენტი ავითარებს აკადემიურ უნარებს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა ითვალისწინებს დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებს. როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსები ფარავს აქტუალურ თემებს, ხოლო სადისერტაციო კვლევა მოითხოვს თანამედროვე ლიტერატურის საფუძვლიან მიმოხილვას და ინოვაციურ მიდგომებს. პროგრამის ხელმძღვანელები არიან აქტიური მკვლევრები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში უახლესი სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინებას.

**პროგრამის სტრუქტურა:** მიუხედავად დადებითი ასპექტებისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული სპეციალობის საგნები, რაც შეიძლება წარმოადგენდეს გასაუმჯობესებელ სფეროს.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს "ბიზნეს სკოლის სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულება." აღნიშნული დებულების თანახმად, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს მინიმუმ 2000 სიტყვიანი საკვლევი თემის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი უნდა ასახავდეს აპლიკანტის გამოცდილებას, კვლევით ინტერესებს, მიზნებს, პრობლემის გადაჭრის შეთავაზებულ მეთოდებს და მოსალოდნელ შედეგებს. ასევე მოთხოვნილია დარგის პროფესორის რეკომენდაცია, რომელიც ადასტურებს აპლიკანტის აკადემიურ მიღწევებს და კვლევით პოტენციალს.

დებულება არ მოითხოვს წინასწარ პუბლიკაციებს ან კვლევით პროექტებში მონაწილეობას, თუმცა აწესებს უფრო მაღალ მოთხოვნას: 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება მენეჯმენტის ან ადმინისტრირების მიმართულებით. დამატებით, კვლევითი პოტენციალის და უნარების შესაფასებლად, კანდიდატმა უნდა გაიაროს გასაუბრება დროებით დარგობრივ კომისიასთან.

დებულების 22 - ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია სადისერტაციო თემის წარდგენისთვის დამატებითი მოთხოვნები, დადგენილია, რომ საჯარო დაცვაზე დაშვებისთვის საჭიროა კვლევით თემაზე გამოქვეყნებული ან მიღებული სტატია. სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს იმპაქტ - ფაქტორის მქონე რეცენზირებად ჟურნალში, რეფერირებად / რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დებულება არ მოითხოვს ორი სტატიის გამოქვეყნებას, არამედ იძლევა ალტერნატივას -გამოქვეყნებას კონფერენციის მასალებში. გარდა ამისა, დებულება განსაზღვრავს, რომ აღნიშნული მოთხოვნა გათანაბრებულია სადისერტაციო თემის სრული ან შემოკლებული ვერსიის (30 - 60 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირებასთან.

დებულება მოიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატის პრევენციის მექანიზმებს. აღნიშნულ საკითხს ეხება რამდენიმე მუხლი:

- 23 - ე მუხლი ადგენს, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის წარსადგენ დოკუმენტებს შორის მოითხოვება სადისერტაციო თემის პლაგიატის პროგრამით შემოწმების ანგარიში.

- 28 - ე მუხლი ("სადოქტორო ხარისხის ბათილად ცნობა") განსაზღვრავს რეაგირების მექანიზმებს:

o აკადემიური არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ვალდებულია გააუქმოს სადოქტორო ხარისხი.

o თუ პლაგიატი ან სადისერტაციო ნაშრომის გაყალბება გამოვლინდება დაცვის და ხარისხის მინიჭების შემდეგ, სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ხარისხი.

- 23 - ე მუხლის თანახმად, დაცვაზე დაშვება მოითხოვს სკოლის დეკანის გადაწყვეტილებას, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის პლაგიატზე შემოწმების წესებს.

24 - ე მუხლის თანახმად, სადისერტაციო ნაშრომის ერთი შემფასებელი უნდა იყოს ბიზნეს სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი,
მეორე შემფასებელი უნდა ფლობდეს დოქტორის ხარისხს შესაბამის სფეროში უნივერსიტეტის გარეთ.

24 - ე მუხლის თანახმად, სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად საჭიროა მხოლოდ ორი შემფასებელი (რეცენზენტი), რომელთაგან ერთი უნდა იყოს ბიზნეს სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო მეორე უნდა იყოს უნივერსიტეტის გარე პირი, რომელიც ფლობს დოქტორის

ხარისხს შესაბამის სფეროში. შემფასებლები აფასებენ სადისერტაციო ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სადისერტაციო თემის აქტუალობა, გამოყენებული კვლევის მეთოდები, მიღებული სამეცნიერო შედეგები, გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები და დისერტაციის წარდგენის ხარისხი. თუმცა, დებულება არ მიუთითებს საერთაშორისო რეცენზენტის აუცილებლობის მოთხოვნას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამები)

პროგრამის 120 კრედიტიანი მოცულობა შეესაბამება სამაგისტრო დონეს. პროგრამის კომპონენტები ეფექტურადაა განაწილებული, 90 კრედიტი განსაზღვრულია სასწავლო კომპონენტისთვის, 10 კრედიტი პრაქტიკული აქტივობებისთვის და 20 კრედიტი კვლევითი კომპონენტისთვის, რაც უზრუნველყოფს საჭირო აკადემიურ სიღრმეს.

პროგრამა სრულად არის სტრუქტურირებული ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შესაბამისად, კრედიტების განაწილება და სტუდენტის დატვირთვა გაანგარიშებულია რაციონალურად.

პროგრამის უნიკალურობა გამოიხატება ოთხი სპეციალიზაციით - ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი და მონაცემთა ანალიზი, ასევე პრაქტიკული და თეორიული კომპონენტების ეფექტური ინტეგრაციით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროგრამის ორიენტაცია საქართველოს ბიზნეს სპეციფიკაზე.

კვალიფიკაციის შესაბამისობის თვალსაზრისით, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი აკმაყოფილებს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციის მოთხოვნებს. სწავლის შედეგები მოიცავს ყველა საჭირო კომპეტენციას.

ლოგიკურად განსაზღვრული წინაპირობებით და სემესტრების მიხედვით გააზრებულად განლაგებული საგნებით უზრუნველყოფილია სტრუქტურული თანმიმდევრულობა.

რაც შეეხება თანამედროვეობას და ინტერნაციონალიზაციას, პროგრამა მოიცავს თანამედროვე საკითხებს, როგორიცაა ციფრული მარკეტინგი და მონაცემთა ანალიზი, ამასთან იცავს საერთაშორისო რეგულაციებს და საუკეთესო პრაქტიკას.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციას. სავალდებულო კურსები, ჯამში 60 კრედიტი, ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების ფუნდამენტურ სფეროებზე: ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა, მარკეტინგი, სტრატეგიული მენეჯმენტი, კორპორაციული ფინანსები და ორგანიზაციული ქცევა.

20 - კრედიტიანი სპეციალიზაციის კომპონენტიტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიღრმაონ ცოდნა ოთხი მიმართულებიდან ერთ - ერთში: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი ან მონაცემთა ანალიზი, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ შერჩეულ სფეროში მიზნობრივ სპეციალიზაციას.

პროგრამის პრაქტიკული (10 კრედიტი) და კვლევითი (20 კრედიტი) კომპონენტები ხელს უწყობს თეორიული ცოდნის გამოყენებას, კვლევითი უნარების განვითარებას და რეალური ბიზნეს გარემოსთვის მომზადებას.

სწავლის შედეგები მოიცავს მაგისტრის ხარისხისთვის საჭირო კომპეტენციებს, მათ შორის ბიზნესის მართვის კონცეფციების გაღრმავებულ ცოდნას, კრიტიკული ანალიზის უნარებს, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობებს და პროფესიული კომუნიკაციის უნარებს.

პროგრამა ასევე პასუხობს თანამედროვე ბიზნეს გარემოს მოთხოვნებს ციფრული ტექნოლოგიების, გლობალური ბიზნეს საკითხების და მონაცემთა ანალიზის გათვალისწინებით.

პროგრამის სტრუქტურული თანმიმდევრულობა ეფუძნება კარგად გააზრებული წინაპირობების სისტემას. მაგალითად, "მმართველობითი აღრიცხვა და კონტროლი" მოითხოვს "ფინანსური აღრიცხვა მენეჯერებისთვის" კურსის გავლას, ხოლო "ბიზნესის პროგნოზირება" საჭიროებს "სტატისტიკა მენეჯერებისთვის" კურსის წინასწარ შესწავლას.

კურსები ლოგიკურადაა განაწილებული სემესტრების მიხედვით:

- პირველი სემესტრი მოიცავს საფუძვლების საგნებს, როგორიცაა ეკონომიკა, სტატისტიკა, მარკეტინგი, საინფორმაციო სისტემები და ფინანსური აღრიცხვა.

- მეორე სემესტრი ითვალისწინებს უფრო გაღრმავებულ საგნებს, მათ შორის ორგანიზაციულ ქცევას, კორპორაციულ ფინანსებს, ოპერაციების მართვას და სტრატეგიულ მენეჯმენტს.

- მესამე სემესტრი ორიენტირებულია სპეციალიზაციის კურსებზე და პრაქტიკულ გამოცდილებაზე.

- მეოთხე სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს, რომლის დაწყებაც შესაძლებელია მხოლოდ 70 კრედიტის დაგროვების შემდეგ.

აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ დაგროვებას და კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - 5 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამები)**

"ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნებს. 60 კრედიტი ოპტიმალურად არის განაწილებული სასწავლო (40 კრედიტი) და კვლევით (20 კრედიტი) კომპონენტებს შორის, რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის გაღრმავების და პრაქტიკული უნარების განვითარებას

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობასთან და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემასთან (ECTS) სრული შესაბამისობით. აღსანიშნავია, რომ პროგრამა ითვალისწინებს მკაფიო სპეციალიზაციებს ფინანსებში, მარკეტინგში, მენეჯმენტში და მონაცემთა ანალიზში, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს აირჩიონ მიმართულება მათი კარიერული მისწრაფებების შესაბამისად.

ცოდნის თანმიმდევრულად დაგროვების უზრუნველსაყოფად, წინაპირობები და კურსების პროგრესია ლოგიკურად არის სტრუქტურირებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრამის ძლიერი პრაქტიკული კომპონენტი. სამაგისტრო ნაშრომი აქცენტს აკეთებს რეალური ბიზნეს გამოწვევების გადაჭრაზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს დააკავშირონ თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გამოყენებასთან.

პროგრამა მოიცავს საერთაშორისო ბიზნეს რეგულაციების ცოდნას და მათ გამოყენებას, რაც ხელს უწყობს გლობალურ ბიზნეს გარემოში წარმატების მისაღწევად საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა აერთიანებს თანამედროვე ტექნოლოგიებს და ინოვაციებს, რაც აძლიერებს შრომის ბაზრაზე კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას.

"ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა გამოირჩევა პროფესიული ორიენტაციით. დაშვების მოთხოვნა, მენეჯმენტში ხუთწლიანი გამოცდილების ქონა უზრუნველყოფს გამოცდილი პროფესიონალების ჩარიცხვას, რაც აძლიერებს ჯგუფის საერთო ხარისხს.

სწავლების მეთოდოლოგია მორგებულია დასაქმებული მენეჯერების საჭიროებებზე. ისეთი ტექნიკები, როგორიცაა ქეისების შესწავლა, პროექტზე მუშაობა და ბიზნეს სიმულაციები, მონაწილეებს საშუალებას აძლევს სტრუქტურირებულ გარემოში გადაჭრან რეალური ბიზნეს გამოწვევები. სპეციალიზაციების მრავალფეროვნება ასახავს თანამედროვე ბიზნესის კომპლექსურობას და იძლევა სიღრმისეული გამოცდილების განვითარების შესაძლებლობებს.

სამაგისტრო კვლევითი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია რეალურ ბიზნეს პრობლემებზე, ეფექტურად აერთიანებს თეორიას და პრაქტიკას. თუმცა, არსებობს პროგრამის შემდგომი გაძლიერების შესაძლებლობები, მათ შორის სტრატეგიული ლიდერობის კურსების დამატება, სიღმისეული აქცენტის გაკეთება გლობალურ ბიზნეს კომპონენტებზე და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მეტი პრაქტიკული პროექტის განხორციელება.

ძლიერი მხარეების მიუხედავად, ანალიზმა გამოავლინა შემდეგი გასაუმჯობესებელი მხარეები:

1. ინდუსტრიის ჩართულობა: სასწავლო პროცესში დარგის ექსპერტების და პრაქტიკოსების შეზღუდული ჩართულობა, რაც წარმოადგენს "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამების მთავარ მახასიათებელს.

2. მენტორობის კომპონენტი: სტრუქტურირებული მენტორობის ნაკლებობა, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღმასრულებელი მენეჯერების განვითარებისთვის.

3. ხელმძღვანელობის განვითარება: პერსონალიზებული ხელმძღვანელობის განვითარების გზების და მოქნილ უნარებზე ორიენტაციის არარსებობა.

4. ქსელური აქტივობები: ორგანიზებული ქსელური კავშირების შეზღუდული შესაძლებლობები, რაც წარმოადგენს "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამების ძირითად ღირებულებას.

აღნიშნული ელემენტების გათვალისწინების გარეშე, პროგრამა დგება რისკის ქვეშ დაემსგავსოს ტრადიციული "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის შეკვეცილ ვერსიას, ნაცვლად რეალური "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამისა.

საერთო ჯამში, პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკოსი მენეჯერების პროფესიული განვითარების ძლიერ საფუძველს, აკადემიურ სიმკაცრეს და პრაქტიკულ რელევანტურობას შორის ბალანსს. თუმცა, გამოვლენილი გაუმჯობესებების გათვალისწინება კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამების ღირებულებას და შესაბამისობას "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამის მოლოდინებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია ან/და წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების თანდართული სილაბუსებით;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- ვებ - გვერდი: https://www.gau.edu.ge/ka
- გასაუბრების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

o

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამის რეგულაციებში მიეთითოს სადისერტაციო ნაშრომის გარე შეფასების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო რეცენზენტის მოთხოვნა.
- სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სპეციალობის საგნები.

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 ("ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია, როგორც პროგრამის ფარგლებში, ისე მის გარეთ განხორციელდეს „ნეთვორქინგის" ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს მრგვალი მაგიდის დისკუსიებს, სემინარებს, დარგის ლიდერებთან შეხვედრებს და სოციალურ შეკრებებს. აღნიშნულ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება და გამოცდილების გაზიარება გააძლიერებს მათ პროფესიულ ქსელებს.
- სასურველია, გაძლიერდეს სასწავლო პროცესში დარგის ექსპერტების და პრაქტიკოსების ჩართულობა. ლექციების ჩასატარებლად, ქეისების გასაანალიზებლად და პრაქტიკული გამოცდილების გასაზიარებლად გამოცდილი მენეჯერების და ბიზნეს ლიდერების მოწვევა გაამდიდრებს საგანმანათლებლო გამოცდილებას და გააძლიერებს აკადემიას და ინდუსტრიას შორის კავშირს.
- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის მენტორობის კომპონენტი სტუდენტების გამოცდილ მენეჯერებთან ან ბიზნეს ლიდერებთან დაწყვილების გზით, რომლებსაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მათ პროფესიულ განვითარებას, გაუწიონ კონსულტაცია რეალურ გამოწვევებთან დაკავშირებით და გაუზიარონ ღირებული ხედვები და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა.

პროგრამა 5 ("ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია, როგორც პროგრამის ფარგლებში, ისე მის გარეთ განხორციელდეს „ნეთვორქინგის“ ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება მოიცავდეს მრგვალი მაგიდის დისკუსიებს, სემინარებს, დარგის ლიდერებთან შეხვედრებს და სოციალურ შეკრებებს. აღნიშნულ აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება და გამოცდილების გაზიარება გააძლიერებს მათ პროფესიულ ქსელებს.
- სასურველია, გაძლიერდეს სასწავლო პროცესში დარგის ექსპერტების და პრაქტიკოსების ჩართულობა. ლექციების ჩასატარებლად, ქეისების გასაანალიზებლად და პრაქტიკული გამოცდილების გასაზიარებლად გამოცდილი მენეჯერების და ბიზნეს ლიდერების მოწვევა გაამდიდრებს საგანმანათლებლო გამოცდილებას და გააძლიერებს აკადემიას და ინდუსტრიას შორის კავშირს.
- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის მენტორობის კომპონენტი სტუდენტების გამოცდილ მენეჯერებთან ან ბიზნეს ლიდერებთან დაწყვილების გზით, რომლებსაც შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მათ პროფესიულ განვითარებას, გაუწიონ კონსულტაცია რეალურ გამოწვევებთან დაკავშირებით და გაუზიარონ ღირებული ხედვები და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. "ბიზნესის ადმინისტრირების" | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | | | | |
| პროგრამა 4. "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. "ბიზნესის ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1-2 (ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ქართული და ინგლისური)**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში მაგისტრანტებმა უნდა დააგროვონ 90 კრედიტი, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი და თავისუფალი კომპონენტი - 10 კრედიტი.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო 60 კრედიტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ეკონომიკა მენეჯერებისთვის, სტატისტიკა მენეჯერებისთვის, მარკეტინგის მენეჯმენტი, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები, ფინანსური აღრიცხვა მენეჯერებისთვის, გლობალური ბიზნეს გარემო, ორგანიზაციული ქცევა, კორპორაციული ფინანსები, ოპერაციების მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, მმართველობითი აღრიცხვა და კონტროლი და ბიზნესის პროგნოზირება.

პროგრამის დასკვნით ეტაპზე სტუდენტებმა უნდა მოამზადონ და დაიცვან სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც შეფასებულია 20 კრედიტით. სასწავლო კურსების შინაარსისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა ასახულია სწავლის შედეგების რუკაში.

ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა სასწავლო კურსების მიზნებს, სწავლის შედეგებს, შინაარსსა და რეკომენდებულ ლიტერატურას. ამ ანალიზმა დაადასტურა, რომ თითოეული კურსის შინაარსი სრულად შეესაბამება მის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. პროგრამის ყველა კურსი მოიცავს 5 ECTS კრედიტს და დატვირთვა თანმიმდევრულია, რაც მიუთითებს, რომ კრედიტები ზუსტად ასახავს თითოეული კურსის შინაარსსა და სწავლის მიზნებს. გარდა ამისა, საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სწავლის დროის ბალანსი შესაფერისია და მორგებულია თითოეული კურსის სპეციფიკაზე.

სილაბუსი მოიცავს კარგად განსაზღვრულ შეფასების სისტემას კომპონენტებითა და კრიტერიუმებით, რომლებიც შეესაბამება თითოეული კურსის შინაარსსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამატებითი მასალები შეესაბამება კურსების სწავლის შედეგებს და ხელს უწყობს პროგრამის მიზნების მიღწევას.

ანალიზმა გამოავლინა სავალდებულო კურსის "გლობალური ბიზნეს გარემო" შინაარსის, მიზნებისა და ლიტერატურის გადახედვის საჭიროება შემდეგი მიზეზების გამო:

1. **კურსის შეუსაბამო შინაარსი:** წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა ძირითადად მოიცავს საერთაშორისო ბიზნესის ზოგად საკითხებს, რომლებიც სრულად არ შეესაბამება კურსის სახელწოდებას ან სამაგისტრო დონის მოთხოვნებს.
2. **სასწავლო ლიტერატურა:** ძირითადი სახელმძღვანელო, "საერთაშორისო ბიზნესი: ახალი რეალობები" (Cavusgil, Knight, Riesenberger, მე-4 გამოცემა, Pearson, 2017), თემატურად უფრო მეტად ფოკუსირებულია საერთაშორისო ბიზნესზე, ვიდრე ფართო გლობალურ ბიზნეს გარემოზე.

კურსის სრულყოფილი, მაღალი დონის ცოდნის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია შემდეგი თემების დამატება: გლობალური მაკროეკონომიკური გარემო, პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოები, ფინანსური ლანდშაფტი, სოციო-კულტურული ფაქტორები, ტექნოლოგიური მიღწევები, ეკოლოგიური საკითხები, მდგრადი განვითარების მიზნები, კლიმატის ცვლილების გავლენა, მწვანე ეკონომიკის პრინციპები, გარემოსდაცვითი რეგულაციები, გლობალური ბაზრის დინამიკა, კრიზისებისა და რისკების მართვა, სტრატეგიული გლობალური ალიანსები და ახალი ბაზრები და შესაძლებლობები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, სადოქტორო პროგრამა)**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა მოიცავს მინიმუმ სამ აკადემიურ წელს. მისი სტრუქტურა შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან: სასწავლო და კვლევითი. სასწავლო კომპონენტი, რომელიც მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კრედიტებს, დოქტორანტებისგან მოითხოვს 60 ECTS კრედიტის დაგროვებას.

ძირითადი სასწავლო კურსები მოიცავს კვლევის მეთოდებს (რაოდენობრივი ან თვისებრივი), პროფესორის ასისტენტობას და აკადემიურ წერას. გარდა ამისა, არჩევითი სასწავლო კურსები მოიცავს 45 კრედიტს, საიდანაც დოქტორანტებმა უნდა შეასრულონ 30 კრედიტი. შეთავაზებული არჩევითი კურსებია: სტატისტიკისა და პროგნოზირების მეთოდები ბიზნესში, უცხო ენა - ინგლისური (C1- I), უცხო ენა - ინგლისური (C1- II), სწავლების მეთოდები, მათემატიკური მოდელირება და თემატური სემინარი. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ დოქტორანტებმა მიიღონ როგორც აუცილებელი კვლევითი უნარები, ისე სფეროს ღრმა ცოდნა.

"კვლევის მეთოდების (რაოდენობრივი, თვისებრივი)" სილაბუსის სიღრმისეულმა განხილვამ გამოავლინა სფეროები, რომლებიც მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს სადოქტორო დონის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა, რომ კურსი მოიცავს ფუნდამენტურ თემებს - როგორიცაა კვლევის სამეცნიერო მიდგომა, გამოკითხვის მეთოდები (კითხვარები, ინტერვიუები, სატელეფონო ინტერვიუები) და დაკვირვების ტექნიკა - რამდენიმე კრიტიკული სფერო არასაკმარისადაა წარმოდგენილი. კერძოდ, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის მეთოდებს მეტი აქცენტი სჭირდება. ეს ასპექტი გადამწყვეტია სადოქტორო დონეზე, სადაც აუცილებელია ყოვლისმომცველი მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია.

ამ ელემენტების ჩართვა კურსის შინაარსში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მას და უზრუნველყოფდა დოქტორანტების მომზადებას თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტების შესაბამისად. ასევე მნიშვნელოვანია კურსში პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერება, რაც დოქტორანტებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ ნასწავლი მეთოდები რეალურ მონაცემებზე, რაც მათ კვლევით უნარებს გაძლიერდება.

## აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - 5 (EMBA, ქართულ და ინგლისურ ენებზე)

აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს. კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტის მიხედვით, სტუდენტებმა უნდა დააგროვონ 40 ECTS კრედიტი, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება:

1. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები: 30 ECTS კრედიტი
2. სპეციალობის არჩევითი კურსები: 10 ECTS კრედიტი

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დასაწყებად სტუდენტებმა უნდა დაასრულონ პროგრამის ყველა სავალდებულო კურსი და დააგროვონ მინიმუმ 30 ECTS კრედიტი. ნაშრომი უნდა ეხებოდეს საქართველოში ან საერთაშორისოდ მოქმედი კომპანიებისა და ორგანიზაციების წინაშე არსებულ აქტუალურ ბიზნეს გამოწვევებს. კვლევამ უნდა გაითვალისწინოს ქართულ ბიზნეს გარემოში არსებული მარეგულირებელი ნორმები, საერთაშორისო რეგულაციებთან

ადაპტაცია და სხვა რელევანტური ფაქტორები. ნაშრომი უნდა ეფუძნებოდეს რეალურ მონაცემებს, რაც სტუდენტებს ამზადებს ბიზნეს სექტორში პრაქტიკული როლებისთვის.
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები მოიცავს სტატისტიკას მენეჯერებისთვის, მარკეტინგის მენეჯმენტს, ფინანსურ აღრიცხვას მენეჯერებისთვის, კორპორაციულ ფინანსებს, ოპერაციების მენეჯმენტს და სტრატეგიულ მენეჯმენტს. კურსების სილაბუსების ყოვლისმომცველი ანალიზი ადასტურებს, რომ თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. გარდა ამისა, თითოეული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ზუსტად ასახავს მის შინაარსსა და დასახულ სწავლის შედეგებს, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათების დაბალანსებული განაწილებით, რაც მორგებულია თითოეული კურსის სპეციფიკურ მოთხოვნებზე.
ყველა კურსი თავისი სილაბუსების ფარგლებში მოიცავს დეტალურ შეფასების სისტემას, შეფასებები მორგებულია თითოეული კურსის სპეციფიკაზე სწავლის შედეგების სათანადო შეფასების უზრუნველსაყოფად. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და მოიცავს სფეროში უახლეს მიღწევებს, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს თანამედროვე ცოდნითა და უნარებით.
თუმცა, პროგრამის ფარგლებში, მარკეტინგის მენეჯმენტის კურსი უნდა გადაიხედოს იმისთვის, რომ შეესაბამებოდეს მაგისტრატურის მოსალოდნელ სიზუსტესა და სიღრმეს.

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები
- გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურის საფეხური)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს "კვლევის მეთოდების" კურსის შინაარსი იმისათვის, რომ სრულად შეესაბამებოდეს სადოქტორო დონის მოთხოვნებს. კურსის მოდიფიცირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სადოქტორო კვლევის განხორციელებისას თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიებს და მათი პრაქტიკული გამოყენების ასპექტებს.
-

რჩევები:

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კურსის შინაარსში გლობალური ბიზნეს გარემოს სპეციფიკური ასპექტების ჩამატება.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია უფრო სპეციალიზებული კურსების დამატებით, როგორიცაა სტრატეგიული მარკეტინგი, მარკეტინგის ანალიტიკა და ციფრული მარკეტინგი, რომლებშიც აქცენტი გაკეთდება ანალიტიკურ და სტრატეგიულ კომპონენტებზე, ასევე თანამედროვე მარკეტინგულ ტექნოლოგიებზე.
-

რჩევები:

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური(ინგლისური))

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კურსის შინაარსში გლობალური ბიზნეს გარემოს სპეციფიკური ასპექტების ჩამატება.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია უფრო სპეციალიზებული კურსების დამატებით, როგორიცაა სტრატეგიული მარკეტინგი, მარკეტინგის ანალიტიკა და ციფრული მარკეტინგი, რომლებშიც აქცენტი გაკეთდება ანალიტიკურ და სტრატეგიულ კომპონენტებზე, ასევე თანამედროვე მარკეტინგულ ტექნოლოგიებზე.

- 

რჩევები:

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია უფრო სპეციალიზებული კურსების დამატებით, როგორიცაა სტრატეგიული მარკეტინგი, მარკეტინგის ანალიტიკა და ციფრული მარკეტინგი, რომლებშიც აქცენტი გაკეთდება ანალიტიკურ და სტრატეგიულ კომპონენტებზე, ასევე თანამედროვე მარკეტინგულ ტექნოლოგიებზე.
- 

რჩევები:

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური (ინგლისური))

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო პროგრამის დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გაძლიერდეს მარკეტინგის მენეჯმენტი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია უფრო სპეციალიზებული კურსების დამატებით, როგორიცაა სტრატეგიული მარკეტინგი, მარკეტინგის ანალიტიკა და ციფრული მარკეტინგი, რომლებშიც აქცენტი გაკეთდება ანალიტიკურ და სტრატეგიულ კომპონენტებზე, ასევე თანამედროვე მარკეტინგულ ტექნოლოგიებზე.
- 

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| **კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური) | ☐ | X | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. ბიზნესის ადმინისტრირების | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური) | | | | |
| პროგრამა 4. ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტმა აკრედიტაციისთვის წარადგინა ხუთი პროგრამა.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო (MBA) პროგრამებისთვის, რომლებიც ხორციელდება როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე, დადგენილია შემდეგი მოთხოვნები:

პროგრამა 1 - სადოქტორო პროგრამა, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები განსაზღვრულია ბიზნესის სკოლის დოქტორანტურის შესახებ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციის შესაბამისად. კანდიდატებს უნდა:

1. ჰქონდეთ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
2. ჰქონდეთ ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა (ტესტირების მოთხოვნები იგივეა, რაც MBA პროგრამებისთვის);
3. წარადგინონ კვლევითი განაცხადი (მინიმუმ 2,000 სიტყვა). კვლევით განაცხადში ნათლად უნდა ჩანდეს აპლიკანტის გამოცდილება და კვლევითი ინტერესები, ასევე მათი მიზნები და ამოცანები. წინადადება უნდა აღწერდეს კვლევით პრობლემას, გვთავაზობდეს შესაძლო გადაწყვეტილებებს და პროგნოზირებდეს მოსალოდნელ შედეგებს. მიღების მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვა დეტალები განსაზღვრულია ბიზნესის სკოლის სადოქტორო პროგრამებისა და სადისერტაციო საბჭოს შიდა რეგულაციით. რეგულაციის მე-4 და მე-5 მუხლები განსაზღვრავს მიღების დეტალებს, მათ შორის კომისიასთან გასაუბრებას. ფორმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში კანდიდატი გაივლის გასაუბრებას დარგობრივ კომისიასთან. აღნიშნულ გასაუბრებას უნდა დაესწროს დოქტორანტის პოტენციური ხელმძღვანელი. კანდიდატი ჩაირიცხება პროგრამაზე მხოლოდ ხელმძღვანელისა და კომისიის უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში.

შიდა რეგულაციები არ აზუსტებს თუ რამდენი სტუდენტის ხელმძღვანელობა შეუძლია უნივერსიტეტის ერთ თანამშრომელს. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ თითოეული აკადემიური პერსონალისთვის დოქტორანტების რაოდენობა განისაზღვრება იმის გათვალისწინებით, რამდენ სხვა სტუდენტს ხელმძღვანელობენ ისინი. ძირითადად, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს ერთდროულად ორი ან სამი სტუდენტი ჰყავს. თუმცა, მიზანშეწონილი იქნებოდა დოქტორანტებისთვის ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურების მკაფიოდ განსაზღვრა, მათ შორის თითოეული ხელმძღვანელისთვის დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის მითითებით. ასევე, უნდა განისაზღვროს მეთოდოლოგია, რომელიც დაადგენს ყოველწლიურად მისაღები დოქტორანტების მაქსიმალურ რაოდენობას.

**პროგრამა 2 - ქართულენოვანი MBA პროგრამა მოითხოვს, რომ კანდიდატი:**

ა) ფლობდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს;

ბ) ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) ჩააბაროს ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა, სადაც უნდა აჩვენოს ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა. შესაბამისი ენის სერტიფიკატის ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკადემიური ხარისხის მქონე კანდიდატები თავისუფლდებიან ენის ტესტისგან.

დ) წარმატებით გაიაროს გასაუბრება შესაბამის სფეროში.

**პროგრამა 3 - ინგლისურენოვანი MBA პროგრამა ადგენს, რომ კანდიდატი უნდა:**

ა) ფლობდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს;
ბ) ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; უცხო ქვეყანაში მიღებული ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უცხოელმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია;
გ) ჩააბაროს მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა. შესაბამისი ენის სერტიფიკატის ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკადემიური ხარისხის მქონე აპლიკანტები თავისუფლდებიან ენის ტესტისგან;
დ) წარმატებით გაიაროს გასაუბრება სპეციალობაში.
დამატებით, პროგრამა განსაზღვრავს, რომ კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ უნივერსიტეტის შიდა ტესტი უცხო ენაში (ინგლისური), სადაც საჭიროა მინიმუმ 70%-იანი შედეგი.
ადგილზე ვიზიტის დროს ზემოხსენებული მოთხოვნები პროგრამის კოორდინატორებთან იქნა განხილული. როგორც აღინიშნა, მიღების მოთხოვნები იდენტურია როგორც ინგლისურენოვანი, ისე ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამებისთვის. კერძოდ, კანდიდატები:
უნდა ფლობდნენ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს;
წარმატებით ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდა;
ჩააბარონ ინგლისური ენის ტესტი უნივერსიტეტში, სადაც უნდა აჩვენონ ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა;
გაიარონ გასაუბრება სპეციალობაში.
შესაბამისი ენის სერტიფიკატის ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხარისხის მქონე აპლიკანტები თავისუფლდებიან ენის ტესტისგან. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებში (120 ECTS) მითითებული დაშვების მოთხოვნები არც რელევანტურია და არც გამჭვირვალე. ქართულენოვან პროგრამაში გამოტოვებულია საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ჩარიცხვის შესაძლებლობა, ხოლო ინგლისურენოვან პროგრამაში ენის ცოდნის მოთხოვნები ბუნდოვანია.
გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, კანდიდატებს გასაუბრების პროცესის ფარგლებში ზოგჯერ მოეთხოვებათ "სანიმუშო ტესტის" შესრულება.
აკრედიტაციის 2.1 ქვესტანდარტთან შესაბამისობისთვის, მიღების მოთხოვნები უნდა იყოს რელევანტური, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. ამ შემთხვევაში, გამჭვირვალობის ნაკლებობა ნიშნავს, რომ მოთხოვნები არც რელევანტურია, არც სამართლიანი და არც ხელმისაწვდომი.
კანდიდატებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია მიღების მოთხოვნების შესახებ. ამჟამად, პროგრამისთვის სპეციფიკური მოთხოვნები განსაზღვრულია მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების აღწერაში. უნივერსიტეტმა ზუსტად უნდა აღწეროს და დაადგინოს მიღების მოთხოვნები პროგრამებში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად.
გასაუბრების კომპონენტთან დაკავშირებით, თუ არსებობს რაიმე შესაძლებლობა, რომ კანდიდატებს მოეთხოვებათ წერითი ტესტის შესრულება, ეს პირდაპირ უნდა იყოს მითითებული მიღების მოთხოვნებში, რადგან გასაუბრება თავისთავად არ მოიცავს წერით კომპონენტს.

**პროგრამა 4 და 5 - EMBA პროგრამებისთვის (60 ECTS), აპლიკანტები უნდა:**

1. ფლობდნენ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს;

2. ჰქონდეთ მინიმუმ ხუთი წლის სამუშაო გამოცდილება მენეჯმენტის სფეროში;
3. ჩააბარონ ინგლისური ენის ტესტი უნივერსიტეტში, სადაც უნდა აჩვენონ ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა;
4. გაიარონ გასაუბრება.

შესაბამისი ენის სერტიფიკატის ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხარისხის მქონე აპლიკანტები თავისუფლდებიან ენის ტესტისგან. თუ გასაუბრება მოიცავს წერით კომპონენტს, ეს პირდაპირ უნდა იყოს მითითებული მიღების მოთხოვნებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში და თანმხლები დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამები
- უნივერსიტეტის შიდა განაწესი
- გასაუბრებების შედეგები

- **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, დაზუსტდეს დაშვების მოთხოვნები, დეტალურად აღიწეროს ყველა წინაპირობა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს აპლიკანტების მიერ. პროგრამის დოკუმენტებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი ჩარიცხვის ყველა შესაძლებლობა.

კერძოდ:

1. თითოეული დაშვების მოთხოვნა მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, ბუნდოვანების გარეშე.
2. დაშვების პროცესის ნებისმიერი შესაძლო ვარიაცია (როგორიცაა გასაუბრებების დროს წერითი კომპონენტები) მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული.
3. ჩარიცხვის ყველა კანონიერი გზა, მათ შორის ისეთი, რომელიც ჩარიცხვის მსურველს ათავისუფლებს სტანდარტული მოთხოვნებისგან, მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი.
4. დოკუმენტაციაში სრულყოფილად უნდა იყოს მიმოხილული დაშვების პროცესი, რაც ყველა პოტენციური ჩარიცხვის მსურველისთვის უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და სამართლიანობას.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურის საფეხური)

- **რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს დოქტორანტების ხელმძღვანელების დანიშვნის პროცედურები, მათ შორის თითოეული ხელმძღვანელისთვის დასაშვები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა. ასევე რეკომენდებულია, განისაზღვროს მეთოდოლოგია, თუ როგორ მოხდება ყოველწლიურად მისაღები დოქტორანტების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრა.

რჩევები:

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური(ინგლისური))

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური (ინგლისური))

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურის საფეხური)

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა სრულყოფილად აერთიანებს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. სასწავლო კომპონენტი მოიცავს შემდეგ კურსებს: "კვლევის

მეთოდები" (თვისებრივი ან რაოდენობრივი) და პროფესორის ასისტენტობა. პროფესორის ასისტენტობის კომპონენტს მნიშვნელოვანი როლი აქვს დოქტორანტების პრაქტიკული უნარების განვითარებაში.
პრაქტიკული და კვლევითი კომპეტენციების შემდგომი გაძლიერებისთვის, რეკომენდებულია კურსში დაემატოს მონაცემთა დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება, რომელიც აუცილებელია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევისთვის. ეს მეტად შესძენს დოქტორანტებს იმ უნარებს, რომლებიც საჭიროა თანამედროვე კვლევითი მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების გამოყენებისთვის.
ამ ცვლილების განხორციელება გააუმჯობესებს პროგრამის ეფექტურობას, უზრუნველყოფს რა დოქტორანტების სათანადო მომზადებას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული გამოწვევების გადასაჭრელად.
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ცენტრალური კვლევითი კომპონენტი მოიცავს დისერტაციის მომზადებასა და საჯარო დაცვას. ეს პროცესი ხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმძღვანელობითა და მენტორობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 და 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური, ქართული და ინგლისური)

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო (MBA) პროგრამის ერთ- ერთი მთავარი მიზანია მოამზადოს სტუდენტები ბიზნესის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისთვის. ამ მიზნის მისაღწევად, პროგრამა ფოკუსირებულია იმ აუცილებელი უნარების განვითარებაზე, რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ.
პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება პრაქტიკული კომპონენტი, რომელსაც 10 ECTS კრედიტი აქვს მინიჭებული. კერძოდ, სტუდენტებმა, რომლებიც არ არიან დასაქმებულები, უნდა გაიარონ სტაჟირება იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც უნივერსიტეტსა და ბიზნეს სკოლას დადებული აქვთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. დასაქმებული სტუდენტებისთვის საჭიროა სამუშაო ადგილიდან ცნობა, სადაც მითითებული იქნება მათი პოზიცია და მოვალეობები. თუ სტუდენტი თავისუფლდება სტაჟირების მოთხოვნისგან, მას, თავისი სწავლის სფეროს ფარგლებში, შეუძლია აირჩიოს არჩევითი კურსები საჭირო 10 კრედიტის დასაგროვებლად.
გარდა ამისა, პრაქტიკული კომპონენტები ინტეგრირებულია პროგრამის აკადემიურ კურსებში. სტუდენტები მონაწილეობენ ქეისების განხილვაში, პროექტების მომზადებასა და პრეზენტაციებში, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული სწავლების გამოცდილებას.
კვლევითი უნარების გასაძლიერებლად, პროგრამის სტუდენტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს. ამ პროცესს წინ უძღვის ძირითადი კურსები, მათ შორის "სტატისტიკა მენეჯერებისთვის", რაც ხელს უწყობს კვლევითი კომპეტენციების განვითარებას. თუმცა, სტუდენტებთან გასაუბრებებმა გამოავლინა სამეცნიერო კონფერენციებში შეზღუდული

მონაწილეობა. **ჩვენი რეკომენდაციით, დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა.**
უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტაჟირების ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული 12 მემორანდუმი. ამ მემორანდუმების ანალიზი აჩვენებს, რომ მათში არ არის მითითებული სტუდენტების რაოდენობა ან სტაჟირების ხანგრძლივობა.

სტაჟირების პერიოდში და პროექტებში ჩართულობისას, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პროფესიონალი, რომელიც აფასებს სტუდენტის მუშაობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 და 5 (EMBA - ქართული და ინგლისური)

აღმასრულებელი MBA (EMBA) პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ თანამედროვე ბიზნეს გარემოში არსებული კომპლექსური გამოწვევების გადაჭრა. ეს პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს ყოვლისმომცველი ცოდნით ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა ასპექტში, სტრატეგიული მენეჯმენტიდან დაწყებული ფინანსური ანალიზითა და მარკეტინგული სტრატეგიით დამთავრებული.
პროგრამის ძირითადი მიზანია სტუდენტების ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება, რაც აუცილებელია დამოუკიდებელი სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისთვის. ეს მოიცავს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის შეძენას, არამედ პრაქტიკული გამოცდილების მიღებასაც, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ეს კონცეფციები რეალურ ბიზნეს სიტუაციებში.
გარდა ამისა, EMBA პროგრამა ამზადებს სტუდენტებს ბიზნესის სფეროში პრაქტიკული როლებისთვის. იგი ხაზს უსვამს როგორც თეორიულ საფუძვლებს, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც აუცილებელია დღევანდელ დინამიურ ბიზნეს გარემოში წარმატებული კარიერისთვის.
EMBA პროგრამის მთავარი მახასიათებლებია პრაქტიკულ გამოცდილებასა და რეალური ბიზნეს სცენარების ანალიზზე აქცენტის გაკეთება, სტრატეგიულ საკითხებსა და ლიდერობაზე ფოკუსირება, და ხშირად, სტუდენტების მიმდინარე სამუშაოსთან დაკავშირებული პროექტები. აკადემიურ კვლევაზე მეტად EMBA პრიორიტეტს ანიჭებს პრაქტიკულ გამოყენებას, ამიტომ ხშირად იწვევს მოქმედ ბიზნეს ლიდერებს ლექციებსა და სემინარებზე. ეს ელემენტები ასახავს EMBA-ს სამიზნე აუდიტორიას: გამოცდილ პროფესიონალებს, რომლებსაც სურთ თავიანთი ლიდერული უნარების გაძლიერება. ამის საპირისპიროდ, ბიზნესის ადმინისტრირების ტრადიციული სამაგისტრო პროგრამა ზოგადად მორგებულია იმ სტუდენტებზე, რომლებიც ეძებენ უფრო ფართო და ღრმა ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირებაში.

ამ მახასიათებლების კლასტერული ანალიზი აჩვენებს, რომ EMBA პროგრამა არის ბიზნესის ადმინისტრირების ტრადიციული სამაგისტრო პროგრამის უფრო კომპაქტური ვერსია. თუმცა, ამ ორს შორის განსხვავებები უმნიშვნელოა. EMBA- ში მიღების მთავარი განმასხვავებელი ფაქტორია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და მენეჯმენტში ან ადმინისტრირებაში მუშაობის მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილების წინაპირობა.

MBA და EMBA სასწავლო პროგრამების შედარებითი ანალიზი ავლენს მნიშვნელოვან გადაფარვას კურსების შინაარსში, ორივე პროგრამა იყენებს უნარების განვითარების მსგავს მეთოდოლოგიებს. ორივე პროგრამა ასევე მოიცავს კვლევით კომპონენტს, რადგან თითოეულში სტუდენტები ასრულებენ სამაგისტრო ნაშრომს.

ჩვენი აზრით, EMBA- ს განმასხვავებელი მახასიათებლები უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. კერძოდ, ხაზი უნდა გაესვას მის პრაქტიკულ მხარეს და მაღალი დონის „ნეთვორქინგის" შესაძლებლობებს. EMBA- ს მიზანია სტუდენტებმა მიიღონ არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული უნარებიც, რომელთა გამოყენებაც მაშინვე შეეძლებათ თავიანთ პროფესიულ გარემოში.

ამიტომ, რეკომენდებულია EMBA- ს სტრუქტურისა და შინაარსის გადახედვა, რაც მეტად გაუსვამს ხაზს მის უნიკალურ ასპექტებსა და უფროსი მენეჯერებისთვის ღირებულებას. ეს შეიძლება მოიცავდეს სპეციალიზებული მოდულების დამატებას, რეალური ბიზნეს პროექტების ინტეგრირებას და დარგის ლიდერებთან ჩართულობის გაზრდას, რათა EMBA კიდევ უფრო განსხვავდებოდეს ტრადიციული პროგრამისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- პროგრამების სილაბუსები
- გასაუბრებების შედეგები

შეფასება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურის საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

• რეკომენდებულია, სტუდენტთა მხარდაჭერა მათი სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობის/ მონაწილეობის უზრუნველყოფით.

რეკომენდებულია, რომ გაფორმებულ მემორანდუმებში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სტაჟირების ხანგრძლივობა და ჩართული სტუდენტების რაოდენობა.

რჩევები:

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური(ინგლისური))

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სტუდენტთა მხარდაჭერა მათი სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობის/ მონაწილეობის უზრუნველყოფით.
- რეკომენდებულია, რომ გაფორმებულ მემორანდუმებში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სტაჟირების ხანგრძლივობა და ჩართული სტუდენტების რაოდენობა.

რჩევები:

•

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

● რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს რეალური ბიზნეს პროექტები და დარგის ლიდერებთან ინტენსიური ურთიერთობის შენარჩუნება, რაც "ბიზნესის ადმინისტრირების" აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამას განასხვავებს ტრადიციული "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამისგან.

რჩევები:

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური (ინგლისური))

რეკომენდაციები:

● რეკომენდებულია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს რეალური ბიზნეს პროექტები და დარგის ლიდერებთან ინტენსიური ურთიერთობის შენარჩუნება, რაც "ბიზნესის

ადმინისტრირების" აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამას განასხვავებს ტრადიციული "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამისგან.

**რჩევები:**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| **კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4. ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, 2, 3, 4 და 5 (სადოქტორო, სამაგისტრო - ინგლისური და ქართული, EMBA - ინგლისური და ქართული)

სასწავლო კურსების სილაბუსებისა და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაცია, პრაქტიკული მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კეთებით სწავლება, ქეისის შესწავლა, სიმულაციური სწავლება, დისკუსიები და დებატები, და ელექტრონული სწავლება. ამ მეთოდების კომბინირებული გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას, რასაც ადასტურებს როგორც დოკუმენტური ანალიზი, ისე აკადემიური პერსონალის გამოცდილება. თითოეული მეთოდი შეირჩევა კურსის სპეციფიკისა და სამიზნე კომპეტენციების გათვალისწინებით.
აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებები ავლენს, რომ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობასა და მრავალმხრივ ინტერაქციას. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს სტუდენტებს შორის თანამშრომლობით ურთიერთობებს, ამავდროულად ავითარებს დამოუკიდებელი აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარებს. სტუდენტებს მოუწოდებენ გამოავლინონ ინიციატივა და აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე.
მეთოდოლოგია ფოკუსირებულია მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე, განსაკუთრებული აქცენტით კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებაზე. ეს მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ და პიროვნულ ზრდას. სწავლების მეთოდები ავლენს მნიშვნელოვან მოქნილობასა და ადაპტირების უნარს, ითვალისწინებს რა სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, სწავლის სტილსა და აკადემიური მოსწრების დონეებს.
საჭიროების შემთხვევაში, მუშავდება და ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები, რომლებიც მორგებულია სტუდენტების კონკრეტულ ინტერესებსა და აკადემიური მომზადების დონეზე. ეს პერსონალიზებული მიდგომები იმის გარანტია, რომ თითოეული სტუდენტი მიიღებს შესაბამის მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესის განმავლობაში.
ეს ყოვლისმომცველი და მოქნილი მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობას და ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიურ ჩართულობას. მეთოდოლოგია ავლენს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ხელს უწყობს როგორც აკადემიურ წარმატებას, ისე პიროვნულ განვითარებას, ამავდროულად ადაპტირებულია ინდივიდუალური სწავლის საჭიროებებთან.

გამოყენებული მეთოდები მუდმივად ფასდება და იხვეწება სტუდენტების უკუკავშირისა და სწავლის შედეგების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტურობისა და სტუდენტთა მიღწევების მუდმივ გაუმჯობესებას. სწავლა- სწავლების ეს დინამიური მიდგომა ქმნის როგორც აკადემიური წარმატების, ისე პროფესიული განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- გასაუბრებების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურის საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური(ინგლისური))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური (ინგლისური))

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| **კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA) ინგლისურენოვანი | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამებში ჩარიცხული სტუდენტების შეფასება კლასტერის ფარგლებში ხორციელდება GAU- ში სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი წესების შესაბამისად, რომლებიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანებას. ეს რეგულაციები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასების მექანიზმებს. გარდა ამისა, GAU-მ შეიმუშავა სპეციფიკური შეფასების პროცედურები სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის, ასევე სადოქტორო პროგრამების საგანმანათლებლო-კვლევითი კომპონენტებისთვის.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამაგისტრო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის მომზადების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც რეგულაციის სახით მოიცავს ყოვლისმომცველ ინფორმაციას სამაგისტრო პროგრამის შესახებ. დამატებით, შემუშავებულია სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის დაცვის სპეციფიკური ინსტრუქციები, შესაბამისი დებულებებით. ამ პროცესში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებელია დანიშნოს ორი შემფასებელი (რეცენზენტი) სადისერტაციო თემის წარდგენიდან არაუგვიანეს ათი დღის განმავლობაში. სადისერტაციო თემის ერთი შემფასებელი უნდა იყოს ბიზნეს სკოლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ხოლო მეორე შემფასებელი უნდა იყოს უნივერსიტეტის გარე პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შესაბამის სფეროში. შემფასებლების (რეცენზენტების) პასუხისმგებლობაა განსაზღვრონ ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების საკითხი. დაცვა ტარდება საჯაროდ, დანიშნული კომისიის წინაშე. ნაშრომის შეფასება ხდება დაცვის დასრულებისთანავე, საბჭოს თითოეული წევრის მიერ ფარული კენჭისყრით, დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. ნაშრომის პირველადი შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. უარყოფითი შეფასებები კლასიფიცირდება შემდეგნაირად: ა) "არადამაკმაყოფილებელი" (insufficient), რაც მიუთითებს შედეგზე, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს მნიშვნელოვანი უზუსტობების გამო; და ბ) "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" (sub omni canone), რაც აღნიშნავს შედეგს, რომელიც სრულიად ვერ აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, მას ეძლევა შესაძლებლობა წარადგინოს ხელახლა დამუშავებული ნაშრომი ერთი წლის განმავლობაში.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტი იყოფა სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებად. კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომით, რომლის მოცულობაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, საბოლოო შეფასებისას, დანიშნული კომისიის მიერ. ანალოგიურად, სადოქტორო პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო (მათ შორის დამოუკიდებელ), ისე სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებს.

სასწავლო პროგრამების სტუდენტთა შეფასების მექანიზმი დადგენილია 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს როგორც შუალედურ, ისე დასკვნით შეფასებებს. საბოლოო გამოცდას ეთმობა 40 ქულა, ხოლო დანარჩენი 60 ქულა განაწილებულია შუალედურ შეფასებებზე. შუალედური შეფასების მინიმალური გამსვლელი ქულაა 25, ხოლო საბოლოო გამოცდის - 16 ქულა. სასწავლო კურსი წარმატებით დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს ჯამში მინიმუმ 51 ქულას.
შუალედური შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა შეფასების ფორმა, მათ შორის სემინარები, პრეზენტაციები, პროექტები, პრაქტიკული სამუშაო და სხვა. შუალედური გამოცდა არის ამ შეფასების პროცესის სავალდებულო კომპონენტი. სტუდენტის საბოლოო ნიშანი განისაზღვრება შუალედური ნიშნებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით. შეფასების თითოეული მეთოდი ფასდება კონკრეტული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
სტუდენტთა შეფასების პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია ყველა სტუდენტისთვის. მათ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სილაბუსების შინაარსს და წინასწარ მიიღონ ინფორმაცია თითოეული კურსის თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. გარდა ამისა, სილაბუსის გაცნობა და განხილვა ხდება კურსის დასაწყისში პირველი ლექციის დროს. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს ადვილად შეუძლიათ მიიღონ უკუკავშირი და დასაბუთებული პასუხები ლექტორებისგან კონკრეტულ შეფასებებთან დაკავშირებით. მათ ასევე აქვთ უფლება გაასაჩივრონ ნიშანი, თუ მიაჩნიათ, რომ მათი ნაშრომი არასამართლიანად შეფასდა. სტუდენტებთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ უმრავლესობა იცნობს პროცედურებს, თუმცა ასეთი გასაჩივრების შემთხვევები არ ყოფილა.
სტუდენტებმა იციან როგორ შეამოწმონ საკუთარი ნაშრომები პლაგიატის აღმომჩენი პროგრამით, რასაც უნივერსიტეტი პირდაპირ მართავს. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევებში, იწერება უარყოფითი ანგარიში და სტუდენტის მიმართ ამოქმედდება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ზომები.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურის საფეხური

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების დასრულების შემდეგ დოქტორანტებს მოეთხოვებათ სადისერტაციო ნაშრომის შესრულება. ჩარიცხვისას, თითოეული დოქტორანტი თავის სადისერტაციო ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ კვლევით გეგმებს, რომელსაც შემდგომში ხელმძღვანელი აფასებს სტუდენტის პროგრესის მონიტორინგის მიზნით. ამ კონტექსტში და კვლევის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ საკვლევი თემის თეორიული და ემპირიული კომპონენტები წარმოდგენილი იყოს ფორმალური სახით, მოკლე მიმოხილვასთან ერთად; ეს უნდა ატარებდეს სავალდებულო მოთხოვნის სახეს, რომელიც წინ უსწრებს სემესტრების განმავლობაში ფაკულტეტის დანიშნული კომისიის მიერ ჩატარებულ შეფასებას. ეს მიდგომა არა მხოლოდ აძლიერებს სადოქტორო კვლევის პროცესის გამჭვირვალობას, არამედ ხელს უწყობს აკადემიური ექსპერტების ჩართულობას, რითაც უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებებსა და კონსტრუქციულ რეკომენდაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან;
- სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები;
- ბიზნეს სკოლის სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს მარეგულირებელი განცხადება;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურის საფეხური)

რეკომენდაციები:

**რჩევები:** სასურველია, დისერტაციის დაცვის სპეციფიკურობისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, სავალდებულო მოთხოვნის სახით, დაემატოს თეორიული ჩარჩო და კვლევითი კომპონენტები, რომელიც წინ უსწრებს საბოლოო დაცვას და, სავარაუდოდ, განაწილებული იქნება სემესტრების მიხედვით. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს ფაკულტეტის საბჭოს წევრებს, საჭიროებისამებრ, შესთავაზონ თავიანთი მოსაზრებები და რეკომენდაციები, რითაც გაუმჯობესდება სადოქტორო დისერტაციის პროცესის საერთო ხარისხი და სტანდარტი.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური(ინგლისური))

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური (ინგლისური))

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| **კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA) ინგლისურენოვანი | X | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA) ინგლისურენოვანი | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა  საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მაგისტრანტები და დოქტორანტები იღებენ შესაბამის ინფორმაციას სასწავლო პროცესების დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების სტრატეგიების შესახებ უნივერსიტეტის ვებგვერდისა და ელექტრონული პორტალის მეშვეობით. ეს პლატფორმა საშუალებას აძლევს თითოეულ სტუდენტს თვალყური ადევნოს საკუთარ აკადემიურ პროგრესს და ხელს უწყობს კომუნიკაციას ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და ლექტორებთან.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად ეხმარება სტუდენტებს კურსების შერჩევასა და თანმიმდევრობის განსაზღვრაში. პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტები საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაციას იღებენ უშუალოდ ლექტორებისგან. ამასთან, სკოლის აკადემიური მენეჯერი ეხმარება სტუდენტებს სხვადასხვა საკითხში, როგორიცაა რეგისტრაცია, კურატორთა ჯგუფის განრიგის შედგენა და ელექტრონული პლატფორმის გამოყენება.

სტუდენტებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ ისინი შესაბამის ინფორმაციას იღებენ სასწავლო პროცესების დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების, დასაქმების შესაძლებლობებისა და კარიერული განვითარების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა პერსონალისგან, როგორიცაა დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და კარიერული სამსახურის წარმომადგენლები. კარიერული სამსახური სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას შრომის ბაზრის შესაძლებლობების შესახებ და ეხმარება მათი ცოდნის ეფექტურად გამოყენებაში. ამასთან, ისინი ატარებენ სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს, რომელთა შედეგებსაც აანალიზებენ ბიზნეს სკოლასთან თანამშრომლობით.

საჭიროების შემთხვევაში ყველა ლექტორი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის კონსულტაციებისთვის. პირისპირ კონსულტაციების გარდა, ლექტორები ასევე სთავაზობენ სტუდენტებს დისტანციურ მხარდაჭერას, რაც მათ საშუალებას აძლევს სწრაფად და ეფექტურად მიიღონ საჭირო ინფორმაცია.

ზოგადად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და სხვადასხვა აქტივობებში, როგორიცაა სამეცნიერო პროექტები. თუმცა, ბიზნეს სკოლის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს, ბევრმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილია არსებული კონფერენციების შესახებ, მონაწილეობის დონე საგრძნობლად დაბალია, განსაკუთრებით მაგისტრანტებს შორის. სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა და სტატიების გამოქვეყნება კიდევ უფრო იშვიათია, მიუხედავად იმისა, რომ ეს აქტივობები აუცილებელია დამოუკიდებელი კვლევითი უნარების განვითარებისთვის - რაც სამაგისტრო პროგრამის ერთ- ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს.

მიგვაჩნია, რომ აკადემიურმა პერსონალმა და ხელმძღვანელებმა აქტიურად უნდა წაახალისონ სტუდენტები მონაწილეობა მიიღონ ისეთ ღონისძიებებში, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიულ „ნეთვორქინგს“, აწვდის ინფორმაციას მათი სფეროს ახალი გამოწვევების შესახებ და აუმჯობესებს კომუნიკაციის უნარებს. ამასთან, პროგრამისთვის სასარგებლო იქნება უცხოელი მოწვეული ლექტორების ჩართვა ვორქშოფებსა და მასტერკლასებში, რადგან უნივერსიტეტის საერთაშორისო ხასიათი საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ ღირებული პერსპექტივები საზღვარგარეთიდან და შეადარონ ისინი ადგილობრივ გამოცდილებას. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასებაში წარმოდგენილია ინფორმაცია მსგავსი გამოცდილების შესახებ და უცხოელი მოწვეული ლექტორების მოკლე სია, გასაუბრებებმა აჩვენა, რომ სტუდენტები ზოგადად ნაკლებად იყვნენ ინფორმირებულნი ამ შესაძლებლობების შესახებ.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს, და დოკუმენტაციის მიხედვით, სხვადასხვა წლებში სტუდენტებს მონაწილეობა აქვთ მიღებული ამ პროგრამებში. გასაუბრებების დროს, სტუდენტებმა აღიარეს ეს შესაძლებლობა, თუმცა განაცხადეს, რომ მათგან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა მსგავს გამოცდილებებში, სამსახურეობრივი ვალდებულებებისა და დროის ნაკლებობის გამო.

სტუდენტთა გამოკითხვისას მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში არსებობს სააპელაციო პროცედურები იმ შემთხვევებისთვის, თუ რაიმე არ შეესაბამება სასწავლო პროცესს.

უნივერსიტეტში ტარდება შეხვედრები და ფორუმები დამსაქმებლებთან, ასევე დოკუმენტირებულია კლასგარეშე აქტივობები, როგორიცაა გამოფენები და ვორქშოფები. თუმცა, ბიზნესთან დაკავშირებული ჩატარებული ღონისძიებების ან კონფერენციების კონკრეტული ტიპები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, რადგან ბევრი აქტივობა ზოგადი ხასიათისაა და ეხება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს.

გასაუბრებების დროს სტუდენტებმა პროგრამების პრაქტიკულ კომპონენტებში ქართულ რეალობაზე მორგებული მეტი ქეისის სურვილი გამოხატეს.

**მტკიცებულება/ინდიკატორები**

- სასწავლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები;
- გასაუბრებები დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან;
- ბიზნესის სკოლის რეგულაციები;
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურის საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

**რჩევები:** სასურველია, "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა გაზარდონ თავიანთი ჩართულობა კონფერენციებში და სამეცნიერო პროექტებში. აღნიშნული ჩართულობა გააუმჯობესებს მათ აკადემიურ გამოცდილებას, ხელს შეუწყობს პროფესიულ განვითარებას და გააადვილებს დარგის ექსპერტებთან კავშირების დამყარების შესაძლებლობებს.  გარდა ამისა, ამ აქტივობებში აქტიური მონაწილეობა ხელს შეუწყობს პროგრამის საერთო სანდოობას და დარგის თანამედროვე ტენდენციებთან და კვლევებთან შესაბამისობას.

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური(ინგლისური))

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური (ინგლისური))

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA) ინგლისურენოვანი | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.

➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ქართულ- ამერიკული უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური ლიდერების მომზადებას, რომლებსაც შეეძლებათ გამოწვევების გადაჭრა და კომპანიების, პერსონალის, პროცესების ეფექტური მართვა. პროგრამები ამზადებს კონკურენტუნარიან სპეციალისტებს, რომლებსაც გააჩნიათ მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩატარების უნარი.

თვითშეფასების ანგარიში, პროგრამების შინაარსი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასახავს ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას პროგრამების მიზნების მისაღწევად. გასაუბრებების დროს, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა გამოხატა სწავლის პროცესში სტუდენტების მხარდაჭერის მზაობა.

ქართულ- ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნეს კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებს და დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი კომპეტენციების, პუბლიკაციების და კვლევითი პროექტების მქონე სპეციალისტები. ეს დასტურდება უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

მაგისტრანტებთან, დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ ნაშრომებზე მუშაობისას სტუდენტები მუდმივ კონტაქტში არიან სამეცნიერო ხელმძღვანელებთან. ხელმძღვანელის მოვალეობები შემდეგია: სტუდენტების მხარდაჭერა დისერტაციის/სამეცნიერო კვლევის, ნაშრომის/დისერტაციის წერაში, სამეცნიერო ლიტერატურის, პუბლიკაციების და დარგში არსებული უახლესი კვლევების შეთავაზება; სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, სტუდენტების ჩართვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში და კვლევის შედეგების წარდგენაში, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და ა.შ.

ხელმძღვანელები მხარს უჭერენ მაგისტრანტს/ დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებაში. აკადემიური ეთიკის დაცვის მიზნითუნივერსიტეტში მოქმედებს ანტიპლაგიატის პროგრამა, რომელშიც მაგისტრანტმა/ დოქტორანტმა დაცვამდე უნდა ატვირთოს ნაშრომი.

მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხი, სტუდენტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევითი გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. სამეცნიერო ხელმძღვანელი აკონტროლებს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან, საგანმანათლებლო და კვლევით კომპონენტებთან, დოქტორანტურაში მიღებასთან, დისერტაციის წარდგენასთან, დაცვასთან და შეფასებასთან, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს GAU- ს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი და ფაკულტეტის სადოქტორო რეგულაციები. რაც შეეხება ნაშრომის წესებსა და კრიტერიუმებს, გარდა იმისა, რომ ხელმძღვანელი აცნობს თავის მაგისტრანტს/ დოქტორანტს შესაბამის მასალას, შესაბამისი დოკუმენტაცია ასევე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამაგისტრო სამეცნიერო ხელმძღვანელები სათანადო მხარდაჭერას უწევენ სტუდენტებს სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესრულებაში. სამაგისტრო პროგრამებში

სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელების საშუალებას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება და საფეხური)

**აღწერა და ანალიზი - სადოქტორო პროგრამა.**

თვითშეფასების ანგარიში, სადოქტორო პროგრამების შინაარსი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასახავს ხელმძღვანელების აქტიურ ჩართულობას სტუდენტების სამუშაო პროცესში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებულ გასაუბრებებში გამოვლინდა, რომ ისინი მზად არიან სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო პროცესში. იგივე დაადასტურეს დოქტორანტებმაც.

სადოქტორო ხელმძღვანელის მოვალეობები შემდეგია: სტუდენტების მხარდაჭერა დისერტაციის/ სამეცნიერო კვლევის, ნაშრომის/ დისერტაციის წერაში, სამეცნიერო ლიტერატურის, პუბლიკაციების და დარგში არსებული უახლესი კვლევების შეთავაზება; სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა, სტუდენტების ჩართვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში და კვლევის შედეგების წარდგენაში, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და ა.შ.

მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელების მუშაობის შეფასება ძირითადად ბუნდოვანია, რადგან არ ასახავს სამი წლის განმავლობაში სამეცნიერო- კვლევით სამუშაოში ხელმძღვანელების ჩართულობის კონკრეტულ კომპონენტებსა და კრიტერიუმებს. უფრო მეტიც, შეფასება ხორციელდება სტუდენტის მიერ, და ხელმძღვანელის მუშაობა ბუნდოვანია პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის.

პროგრამის დამატებითი აქტივობებით შევსება სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობას უფრო გამჭვირვალესა და პროგნოზირებადს გახდის დოქტორანტისთვის, ხელმძღვანელისა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისთვის. პროგრამაში დისერტაციის წერის დამატებითი კომპონენტების დანერგვა ხელმძღვანელების სამეცნიერო- კვლევით სამუშაოს უფრო გამჭვირვალეს, ხოლო ხელმძღვანელების შეფასებას უფრო ადეკვატურს და ობიექტურს გახდის სტუდენტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის. აქედან გამომდინარე, სასურველია თუ კვლევითი პროცესი და სტუდენტისა და ხელმძღვანელის თანამშრომლობა უფრო მკაფიო, სტრუქტურირებული და დაგეგმილი გახდება. შედეგად, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვისაც შეაფასონ მათი თანამშრომლობა ხელმძღვანელებთან.

| |
|---|
| მაგისტრანტების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები<br>პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურა) |

| | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 17 |
| //სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | |
| //დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა | 5 |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | |
| სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა | 3,4 |

| მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები<br>პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა) | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 13 |
| //სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | 61 |
| //დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა | |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | 0,21 |
| სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა | |

| მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები<br>პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა (ინგლისური)) | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 13 |
| //სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | - |

| | |
|---|---|
| //დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა | |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | - |
| სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა | |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დოკუმენტაცია;
- o გასაუბრება სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელთან;
- o გასაუბრება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან;
- o გასაუბრება ნაშრომების ხელმძღვანელებთან;
- o ქართულ- ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტი) სამაგისტრო პროგრამის რეგულირება

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურის საფეხური)

- **რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, კვლევითი პროცესი და სტუდენტის და ხელმძღვანელის თანამშრომლობა გახდეს უფრო მკაფიო, სტრუქტურირებული და დაგეგმილი. შედეგად, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა შეაფასონ მათი ხელმძღვანელებთან თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვისაც.

**რჩევები:**

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურის საფეხური(ინგლისური))

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 4 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური)

რეკომენდაციები:

რჩევები:

პროგრამა 5 (ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურის საფეხური (ინგლისური))

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 4. ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5. ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA) სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური) | X | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (EMBA) ინგლისურენოვანი | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) დანიშვნა ეფუძნება კონკურსს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ“ დებულების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობების დაკავების პროცესი და რეგულაციები დეტალურად არის აღწერილი და რეგულირებული უნივერსიტეტის წესდებით. უნივერსიტეტის პრეზიდენტი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიურ თანამდებობებზე. ბრძანება განსაზღვრავს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის თანამდებობების რაოდენობას სპეციალობების მიხედვით. ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ. გამჭვირვალე, თანაბარი და სამართლიანი პროცესის უზრუნველსაყოფად კონკურსის შესახებ მთელი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სათანადო კვალიფიკაცია, პრაქტიკული და აკადემიური გამოცდილება დასტურდება მათ პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით (რეზიუმე, განათლების, კვალიფიკაციის და აკადემიური

ხარისხის/წოდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა დამოწმებული იქნა მათი ინდივიდუალური პორტფოლიოების დეტალური განხილვით. მოწვეულ პერსონალს აქვს მნიშვნელოვანი ექსპერტული ცოდნა, მრავალწლიანი გამოცდილებით კერძო ბიზნეს სექტორში ან საჯარო სამსახურში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, შესამჩნევია დეფიციტი სამეცნიერო პროდუქტიულობაში, მათ შორის პუბლიკაციებში, სტატიებსა და დაკავშირებულ საქმიანობაში.

აკადემიური პერსონალის დატვირთვა რეგულირდება უნივერსიტეტის დებულებით. სრული დატვირთვისთვის, საათების საერთო რაოდენობა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პერსონალის დატვირთვა ემორჩილება დადგენილ სტანდარტებს და გამჭვირვალედ არის დაფიქსირებული მიმდინარე სემესტრის სამუშაო დატვირთვის ცხრილში, რომელიც დეტალურად ასახავს როგორც სასწავლო საათებს, ასევე სამეცნიერო საქმიანობისათვის გამოყოფილ საათებს.

უნივერსიტეტს დადგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების ყოვლისმომცველი მეთოდოლოგია, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს პროგრამის დირექტორების უფლებებსა და მოვალეობებს. როგორც დებულებეშია აღნიშნული, პროგრამის დირექტორი პასუხისმგებელია უნივერსიტეტში ყველა პროგრამის აკადემიური ხარისხისა და უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფაზე. პროგრამის დირექტორი, როგორც სკოლის, ასევე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი საკონტაქტო პირი, გადამწყვეტ როლს ასრულებს აკადემიური სტანდარტების უზრუნველყოფასა და განვითარებაში. თითოეულ პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან მეტი დირექტორი, რომელსაც უნდა ეკავოს უნივერსიტეტის პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობა. პირადი საქმეების განხილვისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე აშკარაა, რომ პროგრამის ლიდერები აკმაყოფილებენ უნივერსიტეტის ამჟამინდელ საჭიროებებს. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროგრამის განვითარებაში და ინარჩუნებენ თანმიმდევრულ და კონსტრუქციულ კომუნიკაციას სტუდენტებთან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და მენეჯმენტთან.

| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურა) | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი მიმართულების პერსონალი[3] | დარგის მიმართულების დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[4] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | **20** | **20** | **10** | **17** |
| - პროფესორი | 12 | 12 | 9 | 12 |
| - ასოცირებული პროფესორი | 5 | 5 | 5 | 5 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 3 | 3 | 2 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | | _ |

| **პროგრამა 2 და 3** (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა; ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა (ინგლისურენოვანი)) | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)** | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალის ჩათვლით[5] | დარგის მიმართულების დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[6] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | **20** | **20** | **10** | **13** |
| - პროფესორი | 9 | 9 | 6 | 9 |
| - ასოცირებული პროფესორი | 3 | 3 | 3 | 3 |

[3] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[4] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

[5] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| - ასისტენტ–პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტი | 1 | 1 | 0 | 1 |
| მოწვეული პერსონალი | 7 | 7 | 1 | – |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | | _ |

| **პროგრამა 4 და 5** (ინგლისური ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურა; ინგლისური ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურა (ინგლისურენოვანი)) | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[7] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | **20** | **20** | **10** | **13** |
| - პროფესორი | 9 | 9 | 6 | 9 |
| - ასოცირებული პროფესორი | 3 | 3 | 3 | 3 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტი | 1 | 1 | 0 | 1 |
| მოწვეული პერსონალი | 7 | 7 | 1 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | _ | _ | _ | _ |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტები
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

[7] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, და შესაძლოა მომგებიანი იყოს სხვადასხვა პროგრამისათვის ამ პროგრამებთან აფილირებულიუ პერსონალის ყოლა შესაბამისი ბიზნეს გამოცდილებით, რათა უკეთ დაკმაყოფილდეს თითოეული პროგრამის უნიკალური საჭიროებები, რადგან როგორც დოკუმენტაციებიდან იკვეთება, ერთი და იგივე პერსონალი ჩართულია მრავალი პროგრამის განხორციელებაში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

**პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 3** (ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა (ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

- სასურველია, ინგლისურენოვანი პროგრამებისათვის ლექტორებად უცხოელი ექსპერტების მოწვევა, რომლებიც სტუდენტებს გაუზიარებენ ღირებულ საერთაშორისო პერსპექტივებსა და გამოცდილებას, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროგრამის ხარისხსა და მიმზიდველობას.

**პროგრამა 4** (ინგლისური ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურა)

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 5** (ინგლისური ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA), მაგისტრატურა (ინგლისურენოვანი)

**რეკომენდაციები:**

რჩევები:

- სასურველია, ინგლისურენოვანი პროგრამებისათვის ლექტორებად უცხოელი ექსპერტების მოწვევა, რომლებიც სტუდენტებს გაუზიარებენ ღირებულ საერთაშორისო პერსპექტივებსა და გამოცდილებას, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროგრამის ხარისხსა და მიმზიდველობას.
- 

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (EMBA) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში (EMBA) (ინგლისურენოვანი) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, ხოლო მაგისტრატურას ფაკულტეტის როგორც აკადემიური, ასევე სამეცნიერო და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული პერსონალი. ხელმძღვანელების კვალიფიკაცია შესაბამისია იმ სამუშაოსთან, რომელშიც ისინი არიან ჩართულნი. გასაუბრების დროს ხელმძღვანელებმა ასახეს ზემოაღნიშნული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურა და წესები, რომლებიც აღწერილია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მარეგულირებელ დებულებებში. პერსონალი აქტიურად არის ჩართული შესაბამის სფეროში უნივერსიტეტის ან/და ადგილობრივი უსდ-ების მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში. მიუხედავად ამისა, როგორც მომდევნო 4.3 სტანდარტშია აღნიშნული, კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელების შემთხვევაში ძალიან დაბალია სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა, ასევე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში Web of Science-სა და Scopus-ის მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიების რაოდენობა. უნდა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელთა სამეცნიერო საქმიანობა, რადგან ეს გავლენას მოახდენს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კვლევის პროცესის ხელმძღვანელობის ხარისხზე. უფრო მეტიც, ხელმძღვანელებს შეუძლიათ თავიანთ სტუდენტებთან თანამშრომლობით მართონ სტატიების გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ მონაცემთა ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისო ჟურნალებში. ეს მოტივაციას გაუჩენს ახალგაზრდა მკვლევარებს, რათა გააგრძელონ სამეცნიერო საქმიანობა და მისცემს მათ კვალიფიციური კვლევის კომპეტენციების პრაქტიკულ გამოცდილებას.

**პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირება - დოქტორანტურა**

დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს შიდა დებულების, მე-19 მუხლის შესაბამისად, დოქტორანტის აკადემიური ხელმძღვანელი/მრჩეველი შეიძლება იყოს სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი და დისერტაციის სფეროში კვლევის გამოცდილება. მე-8 მუხლის თანახმად, ბიზნესის სკოლის სადისერტაციო საბჭო შედგება სკოლის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. ამგვარად, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, ქვემოთ მოცემულია შემდეგი განრიგის რიცხვები:

| პროგრამა 1 - ბიზნესის ადმინისტრირება - დოქტორანტურა | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომის ხელმძღვანელები | მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [8] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 18 | 5 | 17 |
| - პროფესორი | 14 | 2 | 13 |
| - ასოცირებული პროფესორი | 4 | 3 | 4 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 0 | 0 | 0 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 |

